# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

№ 29 (5887)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ჰქონდა თუ არა მტკიცებულებითი ძალა ავადსახსენებელ ფარულ ჩანაწერს? ②



## ბადრი პატარკაციშვილს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ხელისუფლებასთან

BBC RUSSIAN.com

## ლონდონში გარდაიცვალა პუტინის მტერი

Daily Mail



ყოვლად დაუშვებელია ავადმყოფებზე წამალთა კლინიკური კვლევების გამოყენება სამეცნიერო ნაშრომებში, დისერტაციებში ან სხვა მიზნით...

## როცა სიცოცხლე ნამალზე ჰკიდია! ⑤

## მარტო თბილისი ხომ არ არის საქართველო?

ბოლო დროს თბილისში გამართული მრავალათასიანი მიტინგების მონაწილეთა, ალბათ, 90 პროცენტი, ჩემი აზრით, თბილისელი იყო (ასე იყო ყოველთვის 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული). აქედან გამომდინარე, ხელისუფლების „არგუმენტი" – მარტო თბილისი არ არისო საქართველო, რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია. ④



## ეს უნივერსიტეტია თუ მისი აჩრდილი? ⑦



## მუდმივად ძებნილი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

⑩-⑪



## ითხოვენ „ხმების ქურდების" დასჯას ③

## ⑭ ერიდეთ მობილურ ტელეფონს



**„ფარული ჩანაწერისთვის წინასწარ იყო საჭირო სასამართლოს სანქცია, ანუ სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურა. თუ არადა, შემდეგ უნდა დაკანონებულიყო. მხოლოდ მაშინ აქვს ამ ჩანაწერს მტკიცებულებითი ძალა. ალბათ, სავარაუდოდ ამ ეტაპზე ეს უკვე დაკანონებულია, მას ბრალს ისე ვერ წაუყენებდნენ, თუ ამ მტკიცებულებას იურიდიულად სამართლებრივი ძალა არ ექნებოდა“**



## სამართლებრივი შეფასება

# ჰქონდა თუ არა მტკიცებულებითი ძალა ავადსახსენებელ ფარულ ჩანაწერს?

**ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ მრავალი ვერსია ვრცელდება. ბიზნესმენის მეგობრები ღიად აცხადებენ, რომ მას ლონდონში კოდუას ხალხი უთვალთვალებდა და ეს მოულოდნელი სიკვდილი საეჭვოდ მიაჩნიათ.**

**არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ თავმჯდომარეს, ადვოკატ მანანა კობახიძეს პატარკაციშვილი-კოდუას საუბრის ფარული ვიდეოჩანაწერის იურიდიული თვალსაზრისით შეფასება და პატარკაციშვილის გარდაცვალების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.**

„ძალიან საეჭვოა ჯანმრთელი ადამიანის უეცარი სიკვდილი, მით უმეტეს მაშინ, როცა მედიცინა წინ არის წასული. ბუნებრივია, დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა შეიძლებოდა. რაც მოხდა, სამწუხაროა. ალბათ, ძიება დაადგენს ყველაფერს, — თავად ფაქტს ვერ შევაფასებ. მხოლოდ ვწუხვარ და თანავუგრძნობ მის ოჯახს“, — გვითხრა მანანა კობახიძემ.

„ხოლო ამ ავადსახსენებელი ჩანაწერის გამო შემიძლია გაცნობოთ, რომ ადამიანის პირად ცხოვრებას იცავს კანონმდებლობა, როგორც სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსები, ასევე, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

ადამიანის პირადი საუბრები მისი პირადი ცხოვრების ნაწილია, და როდესაც საკუთარ სახლში აპარატურას თავად ამონტაჟებს და ასეთ ჩანაწერს აკეთებს, ანუ თავად არის ამ საქმის ინიციატორი, არ შეიძლება ეს ჩანაწერი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის საფუძვლად იქცეს. სახლი ხელშეუვალია, მასპინძელს პირადი უსაფრთხოების თვალსაზრისით ჰქონდა ამის უფლება“.

მანანა კობახიძის აზრით, თუ იგივე მოიმოქმედა ოფიციალური სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, და ეს იყო ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილი რაღაც ოპერატიული ღონისძიება, მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების გამოსაყენებლად, ამასაც აქვს პროცედურული გარანტიები და ის კანონის დაცვით უნდა განხორციელებულიყო.

„თუ იგულისხმება ფარული ჩანაწერი, მაშინ მას აუცილებლად სჭირდება სასამართლო სანქცია, ანუ სასამართლოს მიერ ბრძანების წინასწარი გაცემა. გამოვრიცხავ იმ შემთხვევას, რომ ეს იყო გადაუდებელი აუცილებლობა. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი იყო კარგად დაგეგმილი და სამართალდამცავ უწყებებს საკმარისი დრო ჰქონდათ, სასამართლოსთვის მიემართათ, ბრძანება გამოეთხოვათ და ასე ემოქმედათ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ამას კანონიერი ხასიათი ჰქონოდა“.



კობახიძის თქმით, თუ ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ ვერ მოასწრეს ფარული ჩანაწერის განხორციელებისთვის ბრძანების მიღება, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ მოითხოვს, მაშინ ეს უკვე გადაუდებელი აუცილებლობაა და ყველა ეს ინფორმაცია ძალიან მალევე უნდა დაკანონებულიყო.

„ჩანაწერს მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება მიეცეს მტკიცებულებითი ძალა, თუ ის სისხლის სამართლის საქმეში დამაგრდება მტკიცებულებად, ანუ სამართლებრივად მას მიეცემა მტკიცებულებითი ძალა სწორედ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე. უამპროცესოდ, თუ ისე, უბრალოდ ვიღაცამ რაღაც ჩანაწერი განახორციელა, მას მტკიცებულებითი ძალა არ აქვს“.

მანანა კობახიძე არ გამორიცხავს ჩანაწერის გაყალბებას. ამიტომ ფიქრობს, რომ ჩასატარებელია ექსპერტიზა იმის დასადგენად, ნამდვილად არის თუ არა ეს მოსაუბრის ხმა, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ძალიან ადვილია მონტაჟი და ტექსტზე სხვისი ხმის დადება.

„ფარული ჩანაწერისთვის წინასწარ იყო საჭირო სასამართლოს სანქცია, ანუ სისხლის სამართლის საპროცედურო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურა. თუ არადა, შემდეგ უნდა დაკანონებულიყო. მხოლოდ მაშინ აქვს ამ ჩანაწერს მტკიცებულებითი ძალა. ალბათ, სავარაუდოდ ამ ეტაპზე ეს უკვე დაკანონებულია, მას ბრალს ისე ვერ წაუყენებდნენ, თუ ამ მტკიცებულებას იურიდიულად სამართლებრივი ძალა არ ექნებოდა“.

მანანა კობახიძის განცხადებით, როდესაც ადამიანის პირად სახლში, რომელიც ხელშეუვალია, შედის სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომელი და ჩანაწერს აკეთებს, ეს ბუნებრივია, სანქცირებული უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ამას შემდეგ არც ერთ ცივილურ და დემოკრატიულ ქვეყანაში არ იყენებენ. „ყოველ შემთხვევაში, უპრობლემოდ შეიძლება სასამართლოს ბრძანების მოპოვება, თუ არსებობს სამართლებრივი საფუძველი და დასაბუთებული ეჭვი დანაშაულის მომზადების თაობაზე. შეგიძლია მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართო და მიიღო ბრძანება. ეს არის კანონიერი გზა. თუმცა, ამ შემთხვევაში რა მოხდა, არ ვიცი. ამიტომ მხოლოდ ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლები“.

ხოლო გაზეთებში გამოქვეყნებულ პატარკაციშვილის მხარის ჩანაწერს, ადვოკატის თქმით, თუ ეს პატარკაციშვილის მხარემ საკუთარი აპარატურით განახორციელა, ბუნებრივია, ეს მისი უფლება იყო, რომ გამოექვეყნებინა. ამ შემთხვევაში, მოქალაქის პოზიცია სამართალდამცავი სტრუქტურის ვალდებულებებისგან განსხვავდება. მოქალაქეს სწორედაც რომ ჰქონდა ამის გამოყენების უფლება.

„თუ პატარკაციშვილის მხარემ განახორციელა ეს ჩანაწერი, მათ შეეძლოთ კიდეც მისი გამოქვეყნება. ან როგორ მოიპოვეს სრული ვერსია? ჩემთვის გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა მათ ხელში. არ გამოვრიცხავ, რომ აღმოჩნდა სწორედ ის ვერსია, რომელიც სამართალდამცავებმა ჩაწერეს.

ეს ჩემი ვარაუდია, ფაქტებს კი შესწავლა და გამოკვლევა სჭირდება. მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი — სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომელთან შედარებით მოქალაქის მდგომარეობა ამ თვალსაზრისით გაცილებით უფრო შემსუბუქებულია, ამ შემთხვევაში პროცესი ძალიან მკაცრად იცავს პირად ცხოვრებას და პირდაპირ აწესებს, რა წესით უნდა განხორციელდეს ფარული ჩანაწერი თუ მიყურადება და შემდგომ ამ ყველაფერს მტკიცებულებითი ძალა როგორ მიეცეს“, — დაასრულა მანანა კობახიძემ.




**თამარ შაიშმელაშვილი**

## გლოვა

### „მისი სახელი ჩვენს ისტორიაში დარჩება“

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.**

როგორც მეცნიერებათა აკადემიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა, ბადრი პატარკაციშვილს ისტორია დაიმახსოვრებს.

— საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო დიდ მწუხარებას გამოვთქვამ. ის იყო დიდი ადამიანი, მისი სახელი ჩვენს ისტორიაში დარჩება, — განაცხადა პატრიარქმა.

აღნიშნული განცხადება პატრიარქმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, მისი აღსაყდრების 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოცემის პრეზენტაციაზე გააკეთა.

### მთავრობის სამძიმარი

**ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა ოჯახს სამძიმარს უცხადებს.**

დამატებითი კომენტარისგან, ვიდრე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისგან შემდგომი ინფორმაცია ცნობილი არ გახდება, საქართველოს მთავრობა თავს იკავებს.

სამძიმარი გარდაცვლილის ოჯახს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც გამოუცხადა.

### რადიაქტიური ნივთიერება გამოირიცხა

**ბადრი პატარკაციშვილის სხეულსა და სახლში რადიაქტიური ნივთიერების კვალი არ აღმოჩნდა. ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის სურეის საგრაფოს პოლიციის ინფორმაციაზე დაყრდნობით სააგენტო „როიტერი“ იუწყება.**

ექსპერტების წინასწარი დასკვნით, პატარკაციშვილის გარდაცვალება რადიაქტიური ნივთიერებით მოწამვლასთან დაკავშირებული არ არის.

### ბადრი პატარკაციშვილს თბილისში დაკრძალავენ

**გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავა, ვაჟა ლორთქიფანიძე და დეპუტატი ვანო ჩხარტიშვილი ლონდონში გაემგზავრნენ.**

როგორც გოგა ხაინდრავამ განაცხადა, ვიზიტი ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ საკითხებს უკავშირდება.

— თბილისში დაბრუნების თარიღი გადმოსვენების თარიღთან ერთად გადაწყდება, — აღნიშნა ხაინდრავამ.

ვანო ჩხარტიშვილის ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ პატარკაციშვილი საქართველოში დაიკრძალება.

არსებული ინფორმაციით, ლონდონში გამგზავრებას, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, გოჩა ჯოჯუაც გეგმავდა, თუმცა გაურკვეველი მიზეზებით გამგზავრება გადადო.

**ინტერპრესნიუსი**

## ინფორმაცია

### ხელისუფლება კვლავ სააკაშვილის მონად რჩება

**გაერთიანებულ ოპოზიციაში არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, საპარლამენტო უმრავლესობამ მემორანდუმის ტექსტი მხოლოდ პრეზიდენტთან შეთანხმების შემდეგ წარმოადგინოს.**

ამის შესახებ საუბრისას გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელმა, „კონსერვატორმა“ გიგა ბუკიამ განაცხადა. დეპუტატმა სწორედ ამ მიზეზს დაუკავშირა ის ფაქტი, რომ მემორანდუმის ტექსტი ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის ჯერჯერობით უცნობი რჩება.

მისივე თქმით, როგორც ყოველთვის, ხელისუფლება ვერ ახერხებს, გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილის გარეშე მიიღოს.

არსებული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ მემორანდუმში აღნიშნული იქნება ის საკითხები, რომლებზეც თანახმაა, რომ ოპოზიციასთან შეთანხმდეს.

წინასწარი ვერსიით, მემორანდუმში არსებული 17 საკითხიდან ხელისუფლება მხოლოდ ორზე ამბობს უარს — შსს მინისტრის ვანო მერაბიშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე და საპრეზიდენტო არჩევნების ბიულეტინების გადათვლაზე.

**ინტერპრესნიუსი**

### „არავითარ სიახლეს არ ველით“

**ერთიანი ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული მემორანდუმით რაიმე სიახლეს არ ელის.**

მისი თქმით, უმრავლესობის მემორანდუმის შინაარსი მისთვის ცნობილია მხოლოდ ზეპირი განცხადებებით, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს არის საუბარი საუბრისთვის.

პირადად მე რაიმე სიახლეს და ცვლილებას არ ველოდები. რაც შეეხება დიალოგის გაგრძელებას, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად დააკმაყოფილებს ხლისუფლება ჩვენს მოთხოვნებს, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანი გეგმავს ბუნებრივი გაზის ფასის მსოფლიო ფასებს გაუთანაბროს. საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის ფასი 1000 კუბურ მეტრზე, შესაძლოა 180-200 დოლარი გახდეს



კომენტარი

# ედუარდ შევარდნაძე: პატარკაციშვილის გარდაცვალება საქართველოსთვის ძალიან დიდი დანაკარგია, თანაც აბსოლუტურად მოულოდნელი

*საქართველოს ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებას საქართველოსთვის დიდ დანაკლისად მიიჩნევს. შევარდნაძე იხსენებს რუსეთიდან საქართველოში პატარკაციშვილის მისი ინიციატივით ჩამოყვანის დეტალებს და აღნიშნავს, რომ პატარკაციშვილზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თქვა, კარგი კაციაო.*

*შევარდნაძე საქართველოს პროკურატურის მიერ პატარკაციშვილის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს ეჭვის ქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ არ სჯერა, თითქოს პატარკაციშვილს ვინმეს მკვლელობა, ან ხელისუფლების გადატრიალება ჰქონოდა გადაწყვეტილი.*

*ექსპრეზიდენტი იხსენებს ორი წლის წინათ გამოთქმულ მოსაზრებასაც, რომ მისი ნება რომ ყოფილიყო, იგი ბიზნესმენ პატარკაციშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშნავდა.*

*„არავინ არ უნდა ფიქრობდეს, რომ ამხელა კაცის დაკარგვა ისე უკვალოდ შეიძლება, როგორც ჭვანია დაიკარგა, კვალი აღარ არის მისი. ახლა პატარკაციშვილი დაიკარგა“, – აცხადებს ედუარდ შევარდნაძე.*

**– ბატონო ედუარდ, რა კომენტარს გააკეთებდით პატარკაციშვილის გარდაცვალების ფაქტზე?**

– საქართველოსთვის ძალიან დიდი დანაკარგია, თანაც აბსოლუტურად მოულოდნელი. ბადრის საქართველოში ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული, ეს არ უნდა დავუვიწყოთ ადამიანს. იგი იყო საქველმოქმედო საქმიანობის ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში. შარშანწინ გაზზე ფასი რომ გაძვირდა, ფაქტობრივად, თვითონ დაფარა გაძვირების კოეფიციენტი. რაც შეეხება ბადრის ჩამოყვანას, ჩემი პრეზიდენტობის დროს, მისი ჩამოყვანის ინიციატორი, თავის დროზე, მე გახლდით. ის მოსკოვში ძებნილი იყო, მაგრამ ქუჩაში დადიოდა, ხელისუფლებას ხვდებოდა. თბილისში შევთავაზე ჩამოსვლა, ჩამოვიდა, ჩავწერე, პასპორტი მივეცით და აღდგა მისი საქართველოს მოქალაქეობა. აქ არის დაბადებული, აქაური კაცია.

**– თქვენ საგაზეთო ინტერვიუებში რამდენჯერმე თქვით, რომ პატარკაციშვილს პოლიტიკაში მოსვლის სურვილი თქვენი მმართველობის პერიოდშიც ჰქონდა და თქვენ მას არ ურჩევდით პოლიტიკაში მოსვლას.**

– არა, ასეთი რამ არ ყოფილა. მაგრამ მე ნათქვამი მაქვს ორი წლის წინათ, რომ ჩემი საქმე რომ იყოს, პატარკაციშვილს პრემიერ-მინისტრად დავნიშნავდი-მეთქი. ჭკვიანი იყო, გონიერი და საკმაო ფული ჰქონდა, მილიარდერი იყო და ვფიქრობ, რომ იმ დროისთვის, რომელიც მე ვთქვი, არ იქნებოდა ცუდი პრემიერი.

**– საქართველოს პროკურატურამ ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, სამართალდამცავები მას საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ბრალდებებისადმი?**

– არაფერი არ მესმის, იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვიცნობდი ამ კაცს. მისი აზროვნებისთვის ის ფრაზები, რომლებიც გამოყენებულია ჩანაწერში, თითქმის შეუთავსებელია, არ ვიცი, რა მოხდა. თუ ჭკუიდან შეიშალა, სხვა ამბავია. პატარკაციშვილს რომ გადაწყვეტილი ჰქონოდა ვინმეს მკვლელობა, ხელისუფლების გადაბრუნება და ა. შ ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. რაღაცაშია საქმე, რაც ჩვენ არ ვიცით.

**– პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ბევრი მითქმა-მოთქმა იქნება...**

– მე რომ ვინმეს რამე დავაბრალო, დოკუმენტი უნდა მქონდეს, დოკუმენტი არა მაქვს. რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ეს კიდევ გასარკვევია. ბუნებრივია, კაცი ნერვიულობდა, რამდენი ბრალდება წაუყენეს, შეიძლება ცილი დასწამეს ან შეიძლება ბევრი სიმართლეც ითქვა და თვითონ ვერ მოზომა, რა უნდა ეთქვა.

ყველაფერი შესაძლებელია, ამიტომ ყველაფერს დრო და ობიექტური გამოძიება სჭირდება. არავინ არ უნდა ფიქრობდეს, რომ ამხელა კაცის დაკარგვა ისე უკვალოდ შეიძლება, როგორც ჭვანია დაიკარგა, კვალი აღარ არის მისი, ახლა პატარკაციშვილი დაიკარგა. პატარკაციშვილის გარდაცვალება საქართველოსთვის ძალიან დიდი დანაკარგია. ის ხომ მარტო ბიზნესმენი არ იყო, ბიზნესმენი, ფაქტობრივად, მან შექმნა ქველმოქმედების ფონდი საქართველოში, ეს რეალური იყო, ყველას ეხმარებოდა.

როდესაც მას შევთავაზე თბილისში ჩამოსვლა და ჩამოვიდა, ეს პუტინისთვის არ დამიმალავს და პირდაპირ ვუთხარი, თქვენი ძებნილი თბილისშია არის-მეთქი. მას ეგონა, ბერეზოვსკიზე ვლაპარაკობდი, რომ ვუთხარი, არა პატარკაციშვილზე ვსაუბრობ-მეთქი, მითხრა, რომ მას პუტინი იცნობდა. მან თქვა, იგი კარგი კაციაო.

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

გაზმომარაგება

## ხელშეკრულება გაფორმდება, მაგრამ ვის სასარგებლოდ?

**მარტის ბოლომდე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაზმომარაგების თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდება, ასეთი შედეგით დასრულდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ალეკო ხეთაგურისა და აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის ნატიკ ალიევის შეხვედრა. ამ დრომდე შეთანხმების დეტალები უცნობია და არც ისაა ცნობილი რა ფასად შეიძენს საქართველო აზერბაიჯანულ გაზს.**

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანი გეგმავს ბუნებრივი გაზის ფასის მსოფლიო ფასებს გაუთანაბროს. საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის ფასი 1000 კუბურ მეტრზე, შესაძლოა 180-200 დოლარი გახდეს. როგორც აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ნატიკ ალიევი აცხადებს, საქართველოსთვის გაზის მიწოდება იანვრის დასაწყისში შეწყდა.

მიწოდებული გაზი ორივე მხარისთვის სარფიანი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს საქართველო ჩვენ რთულ ვითარებაში არ უნდა ჩავაყენოთ, – განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს 180-200 დოლარის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი საქართველოს გაზს მიაწვდის მას შემდეგ, რაც ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდება. ქართული მხარე აზერბაიჯანიდან 1-1,5 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივი გაზის შეძენას ითხოვდა, თუმცა ალიევის თქმით, საქართველოს 500 მილიონი კუბური მეტრი მიეწოდებოდა. შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანი საქართველოს 1000 კუბურ მეტრს გაზს 120 დოლარად აწვდიდა.



გავრცელებული ინფორმაციით, გაზმომარაგების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დეტალების შესათანხმებლად ბაქოში საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ვლადიმერ გურგენიძის ვიზიტიც იგეგმება.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## აშშ უკრაინასა და საქართველოს ეხმარება

აშშ-ს სენატის კომიტეტმა ერთხმად დაამტკიცა რეზოლუცია, რომლითაც მხარდაჭერა გამოხატა საქართველოსა და უკრაინისათვის მოკლე ვადებში ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების შესახებ.

სენატი მიიჩნევს, რომ აშშ-მ უნდა გამოიჩინოს ლიდერობა საქართველოსა და უკრაინისათვის მხარდაჭერის საქმეში, რათა შეუერთდეს უსწრაფესი გზით ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმას, – აღნიშნულია რეზოლუციის ტექსტში.

ამასთან, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საქართველოსა და უკრაინის მთავრობებმა სურვილი გამოხატეს ევროატლანტიკურ ალიანსში შესვლის და რომ საქართველო და უკრაინა მჭიდროდ თანამშრომლობს ნატოსთან და მის წევრ ქვეყნებთან იმისათვის, რათა ნატოს მომავალი წევრობის კრიტერიუმებს შეესაბამებოდნენ.

კომიტეტის მიერ დამტკიცებული რეზოლუცია დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, რადგან ფორმირებულია როგორც აშშ-ს სენატის მოსაზრება და თეთრი სახლისათვის იურიდიულად მოვალეობას არ წარმოადგენს და ასევე, არ მოითხოვს პრეზიდენტის ხელმოწერას.

## ითხოვენ „ხმების ქურდების“ დასჯას

გენერალურ პროკურატურასთან გაერთიანებული ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის აქცია გაიმართა.

აქციის პარალელურად, პროკურატურაში ადვოკატმა ეკა ბესელიამ და დეპუტატმა კახა კუკავამ საჩივარი შეიტანეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ეკა ბესელიამ განაცხადა, მათი საჩივარი ეხება არჩევნების გაყალბებას და შეთქმულებას ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

მისივე თქმით, საჩივარი იურიდიულად დასაბუთებულია.

ჩვენ ვითხოვთ გენპროკურატურისგან, დაიწყოს გამოძიება ჩვენს მიერ წარდგენილ ფაქტებზე და დაისაჯონ კონკრეტული პირები, – აღნიშნა ბესელია.

მისივე ინფორმაციით, საჩივარს თან ერთვის 30 ფურცელი და ვიდეოდისკი, რომლებიც არჩევნების გაყალბებას, კერძოდ ყალბ ბიულეტინებს ეხება.

პროკურატურასთან შეკრებილია, დაახლოებით, 20 ახალგაზრდა, ისინი აქციაზე სასტვენებით მივიდნენ და, როგორც თავად ამბობენ, „ხმების ქურდების“ დასჯას ითხოვენ.

## კიდევ ერთი კანდიდატურა გენერალური დირექტორის პოსტზე



საზოგადოების ერთი ნაწილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის პოსტზე ჟურანლისტ ია ანთაძის კანდიდატურას ასახელებს.

ისინი ქართულ საზოგადოებას ღია წერილით მიმართავენ და ია ანთაძის მხარდაჭერას თხოვენ.



იგი ცნობილია, როგორც უაღრესად პრინციპული, განათლებული, ჟურნალისტური გამოცდილების მქონე და, ამავე დროს, მიუკერძოებელი ადამიანი. აქედან გამომდინარეობს ის ნდობა, რომელიც საზოგადოებაში მის მიმართ არსებობს. ჩვენი აზრით, პროფესიონალიზმთან ერთად, ეს ის თვისებებია, რომლებიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ტელევიზიის ხელმძღვანელს, – ნათქვამია საზოგადოების წარმომადგენელთა ღია წერილში.

ინტერპრესნიუსი

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

# დღევანდელობა

ბოლო დროს თბილისში გამართული მრავალათასიანი მიტინგების მონაწილეთა ალბათ 90 პროცენტი, ჩემი აზრით, თბილისელი იყო (ასე იყო ყოველთვის 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული)ძ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების „არგუმენტი“ – მარტო თბილისი არ არისო საქართველო, რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია

## ინფორმაცია

### კოკოითი თანამოაზრეებს დაერია

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებაში კორუფციასთან ბრძოლის კამპანია და ჩინოვნიკების დაპატიმრებების სერია გრძელდება.

როგორც სააგენტო „ოსინფორმი“ იუწყება, ჩატარებული გამოძიების შედეგების საფუძველზე დააპატიმრეს კვაისას მაღნეულის სამმართველოს უფროსი თენგიზ ბაზაევი და თავდაცვის დე ფაქტო მინისტრის მოადგილე ვაჟა კოკოევი.



დაკავებულია დე ფაქტო რესპუბლიკის სპეცსამსახურების რამდენიმე თანამშრომელიც, რომელთაც პასპორტების გაცემისას მაქინაციებში ედებათ ბრალი.

ორიოდე კვირის წინათ კი, თანამდებობიდან გაათავისუფლეს დე ფაქტო განათლების მინისტრი ალა ჯიოევა, რომლესაც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი.

სააგენტოს ცნობით, ანტიკორუფციულ ღონისძიებებს ედუარდ კოკოითის ინიციატივით შექმნილი სპეციალური კომიტეტი ატარებს, რომელსაც ბატრაზ ტოკაევი ხელმძღვანელობს. როგორც ცხინვალის ხელისუფლება ირწმუნება, შემოწმებას შიდარესპუბლიკური ხასიათი აქვს და ცხინვალში რუსეთიდან კომისია ჯერ არ ჩასულა.

ინტერპრესნიუსი

## პოზიცია

# „.... დაკარგული შენი შვილი მოვედი“

*რამდენი პოეტის, მხატვრის თუ მწერლის შთაგონების წყარო გამხდარა და, ალბათ, მომავალშიც გახდება ჩვენი ჭაღარა თბილისი: ფაქტობრივად არ დარჩენილა ქართველი შემოქმედი, თბილისისთვის ლექსი რომ არ მიეძღვნას, მხატვარს ფუნჯი არ „გაესვაროს“, მოქანდაკეს ხელში საჭრეთელი არ აეღოს. ამიტომაც გამიჭირდა წერილის სათაურის შერჩევა, უფრო სწორად მრავალი კარგიდან საუკეთესოს შერჩევა.*

*რატომ მაინცდამაინც იეთიმ გურჯი? იმიტომ, რომ მასავით მარტივად, „მდაბიური“ ენით ვაპირებ საუბარს, უფრო სწორად, კრიტიკას ხელისუფლების სახიფათო პასუხის – ალბათ თვითდამშვიდების, თავის მართლების ელემენტების შემცველი უსუსური „არგუმენტისა“, განვლილი საპრეზიდენტო არჩევნებისას თბილისში განცდილი უდავო ფიასკოს გამო.*

### მარტო თბილისი ხომ არ არის საქართველო?

**პერსონიფიცირებას აზრი არა აქვს, 5 იანვრის არჩევნების შემდეგ იმდენად ხშირად გვსმენია ეს „ფრთიანი“ ფრაზა აშკარად ნირწამხდარ ხელისუფალთაგან.**

გეთანხმებით, ბატონებო, უფრო მეტიც, ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშეც. მაგრამ ერთი „უმნიშვნელო“ რამ ავიწყდებათ ამხანაგ ნაციონალებს. კერძოდ, ის, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია. იმ საქართველოსი, რომელიც პატარა ქვეყანაა და რომლის მოსახლეობის ალბათ ნახევარი, სწორედ რომ, თბილისში ცხოვრობს. რამდენი შეიძლება იყოს ციფრობრივ გამოხატულებაში ეს ნახევარი, უფალმა უწყის, რადგანაც, ჯერ ერთი, ზუსტად არავინ იცის, ჩვენი რამდენი მოქალაქეა ქვეყნიდან გასული და, მეორეც, არც ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისთვის შეუწუხებია ვინმეს თავი ძალიან.

ეგეც არ იყოს, პატარა ქვეყნების პოლიტიკა სწორედ დედაქალაქში კეთდება. ბოლო დროს თბილისში გამართული მრავალათასიანი მიტინგების მონაწილეთა ალბათ 90 პროცენტი, ჩემი აზრით, თბილისელი იყო. (ასე იყო ყოველთვის 1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული)ძ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების „არგუმენტი“ – მარტო თბილისი არ არისო საქართველო, რბილად რომ ვთქვათ, უსუსურია. ეს დემაგოგიური განცხადება მას შემდეგ გაისმა, რაც სააკაშვილს შულავერის პრეზიდენტი უწოდეს. ჩემს მიერ ზემოთ ნახსენებ საფრთხეში ის ვიგულისხმე, რომ ასეთმა განცხადებებმა, შეიძლება მცირე ალბათობით, მაგრამ მაინც თბილისსა და რაიონებს, პროვინციებს შორის ურთიერთობები და დაძაბოს, რადგან გამოთქმაში – „მარტო თბილისი არ არის საქართველო“, ხელისუფლება უწინარესად არაქართველებით დასახლებულ რაიონებს გულისხმობს. ანუ, როცა ოპოზიცია თბილისის მოგებით ყელყელაობს სააკაშვილთან, მის მომხრეთა, ან პირადად მის მიერ მსგავსი განცხადებების კეთება თბილისელთათვის უზნეობის დაბრალებას ისახავს მიზნად.

ისტორიული სიმართლეა – თბილისი დღეს არის მეტნაკლებად ქართული ქალაქი, ანუ მოქალაქეთა უმრავლესობა ეთნიკური ქართველია. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში პირიქით იყო. რომ იტყვიან, აქ მილეთის ხალხი ცხოვრობდა. მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე, თუ საჭირო იქნა, სხვა დროს ვისაუბროთ.

ისეთი პერიოდიც იყო, როცა ბაგრატ მესამის, პირველი გაერთიანებული საქართველოს მეფის დროს თბილისი ცალკე ქალაქი-სახელმწიფო, არაბთა საამირო იყო და ვიდრე დავით აღმაშენებლამდე ამაოდ ცდილობდნენ მისი წინამორბედი ბაგრატიონები თბილისის აღებას. ერთხელ შესძლო ეს დავითის დიდმა პაპამ ბაგრატ IV და ისიც მცირე ხნით. ეს ისე, მცირე ლირიკულ-ისტორიული გადახვევა ინტელექტუალებით გატენილი მმართველი „ნაციების“ გასაგონად.

### თბილისს და ქალაქელებს ნუ აუხირდებით!

**სააკაშვილმა რომ ქურდული სამყარო მოსპო, კორუფცია რომ დაამარცხა და ა.შ. და ა შ, ეს ყველამ იცის, შინაც და გარეთაც, მტერმაც და მოყვარემაც. კი, ბატონო ასე იყოს, მაგრამ ამ ხელისუფლების დროსვე დაიწყო თბილისელობაზე, ქალაქელობაზე, როგორც ტრადიციულ ინსტიტუტზე, შეტევა.**

გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე“ მაინც წაიკითხონ ამ დალოცვილებმა. იქნებ მაშინ მაინც მიხვდნენ თუნდაც იმას, რომ ტერმინი ნაღდი ქალაქელი, გინდა თბილისელი, ცუდს არაფერს ნიშნავს.

ნაღდი თბილისელობა არ ნიშნავს ვინმეზე რამით მაღლა დგომას. როგორც გიზო ნიშნიანიძე იხსენებს გოგლა ლეონიძის („პატარძეულელი გოიმის“ძ – ნაღდი ქალაქელის ნათქვამს: თბილისელობა პროფესიააო. ჩემი, მხრივ, გავკადნიერდები და დავამატებ – პროფესია, რომელიც პრივილეგიას კი არ გულისხმობს, არამედ ვალდებულებას; ზრდილობას, უფროსის პატივისცემას, ზნეობრიობას, რაც, სხვათა შორის, კახა ლომაიას ტესტ უნარ-ჩვევების მოთხოვნათა მიუხედავად, ავტობუსსა თუ ტროლეიბუსში უფროსისთვის, ქალისთვის ადგილის დათმობასაც გულისხმობს, ათი ბილეთიც რომ გქონდეს ნაყიდი.

ნაღდი თბილისელობა ისეთივე საამაყო და ლამაზია ჩემთვის, როგორც ქუთასელისთვის ქუთაისლობა, ბათუმელისთვის ბათუმლობა და ა.შ. თბილისი ხომ ქართული ქალაქი სწორედ პროვინციებიდან ჩამოსულების – იმერლების, გურულების, კახელების, მეგრელების, ერთი სიტყვით, მთელი საქართველოს ხარჯზე გახდა! და თუ თბილისელმა უარი გტკიცა, პრეზიდენტად არ აგირჩია, პროვოკაციული განცხადებები კი არ უნდა აკეთო, სულ მცირედ მაინც უნდა დაფიქრდე, რადგან მართლა, მარტო თბილისი არ არის საქართველო, მაგრამ თბილისი ფაქტობრივად მთელი საქართველოა. ამიტომაც საქართველოს ბედი თბილისში გადაწყდება მუდამ, პრეზიდენტისაც – სხვათა შორის! და სწორედ ამიტომაც თბილისზე აგდებულად ლაპარაკს მოეშვით, ამხანაგო „ნაცებო“, რადგან „საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი შიგ ჩასმული ბადახში“.

**დავით მხეიძე**

*P. S. ერთხელაც ვიტყვი, რად შევარჩიე წერილის სათაურად იეთიმ გურჯის ლექსის ეს ცნობილი სიტყვები: იმიტომ, რომ მე, ამ წერილის ავტორმა, 50-ს გადავაბიჯე. ჩემი თაობა დაკარგული თაობაა იმ გაგებით, რომ ცხოვრების უკეთესი ნაწილი, ახალგაზრდობა, სოციალიზმში ვიცხოვრეთ, ახალ დროებას – ველურ კაპიტალიზმს კი ვერაფერი გავუგეთ. ზოგმა ჩარეცხილებიც გვიწოდა. მიუხედავად ამისა, მჯერა, სწორედ ჩემმა თაობამ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა, რომელიც საქართველოს მომავალს განსაზღვრავს, ღვთის ნებით, იმედია, ბედნიერს!*

*დ. მ.*



## ინფორმაცია

### „სტანდარტ ბანკს“ ახალი მფლობელი ეყოლება

**„სტანდარტ ბანკის“ ახალი მფლობელი, სავარაუდოდ, 24 თებერვლამდე გახდება ცნობილი. ამის შესახებ „სტანდარტ ბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ქადაგიძემ განაცხადა.**

**ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის „სტანდარტ ბანკში“ ყოფნის ვადა სწორედ 24 თებერვალს იწურება.**

**– აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მსხვილ ინვესტორებთან, – განაცხადა ქადაგიძემ. მისივე თქმით, „სტანდარტ ბანკის“ გაყიდვის თაობაზე გადაწყვეტილება ბანკის აქციონერებმა უნდა მიიღონ.**

**„სტანდარტ ბანკში“ საქართველოს ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია 2007 წლის 24 ნოემბერს შევიდა. ბანკის მართვას ახორციელებს „სალფორდ საქართველო“, სადაც ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას პოლიტიკურ მიზეზებს უკავშირებდნენ.**

ინტერპრესნიუსი

## ქართული აკადემია

# რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვენ

**„ქართული აკადემია“ საქართველოს სახელმწიფო მმართველობის მოდელის შერჩევის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს.**

საზოგადოების წევრებმა ამის შესახებ საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მწვავედ დადგა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის მოდელის პრობლემა. პრეზიდენტობის კანდიდატთა უმრავლესობა თავის საპროგრამო გამოსვლებში საპრეზიდენტო მმართველობის საპარლამენტო მოდელით შეცვლის საკითხს აყენებდა, – ნათქვამია განაცხადებაში.

აკადემიის წევრთა აზრით, საქართველოს მოსახლეობის წინაშე პრობლემის სიმწვავეს განაპირობებს ის რეალობა და მისგან გამომდინარე შედეგი, რომელიც ხალხმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

კერძოდ, მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო უმრავლესობით მიღებულმა 1995 წლის კონსტიტუციამ და, განსაკუთრებით, იმავე პოლიტიკური გუნდიდან გამოსული ნაციონალების 2004 წლის კონსტიტუციურმა რეფორმამ ერთპარტიული სახელმწიფო მმართველობა და სუპერსაპრეზიდენტო პოლიტიკური სისტემა წარმოშვა. თავის მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის გაუწონასწორებელმა სისტემამ წარმოშვა მოთხოვნა – „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“, – ნათქვამია განცხადებაში.

მათივე აზრით, ხალხმა, როგორც ხელისუფლების წყარომ, თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოში დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო მმართველობის მოდელის შესახებ.

„ქართული აკადემია“ საზოგადოების წინაშე წინადადებას აყენებს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, საქართველოს მოსახლეობამ რეფერენდუმის მეშვეობით, თავად აირჩიოს ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა.

ინტერპრესნიუსი

# მედიცინა

**● ასეთი კვლევის საერთაშორისო ორგანიზაცია ძალიან რთულია. ძირითადად წამლის კვლევის საკოორდინაციო ცენტრები განლაგებულია დასავლეთ ევროპის და ამერიკის იმ კლინიკებში, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ**



**◎ კითხული კაცის აზრი**

# როცა სიცოცხლე წამალზე ჰკიდია!

## მედიკამენტების კლინიკური კვლევები საქართველოში არსებული კანონმდებლობებით და საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირდება

**ცნობილია, რომ ვერც ერთი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური წარმოების წამალი (სამკურნალო საშუალება) ვერ მოხვდება გაყიდვაში სააფთიაქო ქსელში, თუ მან არ გაიარა რეგისტრაცია დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად სპეციალურ ადმინისტრაციულ ორგანოში (ჩვენ შემთხვევაში ეს არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წამლის სააგენტო).**

ამასთან ერთად წამალი, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური წარმოებისა, არ შეიძლება რეგისტრირებული იქნეს თუ მას არა აქვს გავლილი კვლევის საერთაშორისო წესებით დადგენილი ყველა ეტაპი, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კლინიკური კვლევა ავადმყოფებზე.

წამლის კლინიკური კვლევის მიზანს წარმოადგენს ფარმაკოლოგიური საშუალებების ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების შესწავლა, მისი ეფექტურობის და უსაფრთხოების დადგენის მიზნით. სადღეისოდ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობებში სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების მხრივ სრულად არის ასახული პაციენტის ინდივიდუალური უფლებებთან დაკავშირებული ყველა ის პრინციპი თუ დებულება, რომელიც განზოგადებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ დოკუმენტებში ან მოცემულია განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობებში, მათ შორის – კანონი **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“,** 1997 წ; 1997 წლიდანვე მოქმედებს კანონი **„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“,** რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო პერსონალის პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს; 2000 წლის 5 მაისს მიღებულია კანონი **პაციენტის უფლებების შესახებ;** 2001 წლის 1 მარტიდან საქართველოში ამოქმედდა ევროპის საბჭოს კონვენცია **„ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ“,** 2001 წლის 8 ივნისს კი საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი **„საექიმო საქმიანობის შესახებ“. ამ უკანასკნელი საკანონმდებლო ნორმატიული აქტის მიღებით ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად დასრულდა ექიმის პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების დამკვიდრების პროცესი.**

საყურადღებოა, რომ დღეს საქართველო ევროპის იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომელსაც საკმაოდ სრულყოფილი კანონმდებლობა აქვს პაციენტის უფლებების დაცვის სფეროში, რომლის საფუძველს წარმოადგენს მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის დეკლარაცია **„სახელმძღვანელო რეკომენდაციები ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის შესახებ“,** 1964 წ.

ამჟამად საქართველოში წამლის კლინიკური კვლევის ჩატარების ძირითად სამუშაო დოკუმენტებს წარმოადგენს – **„დებულება ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“** (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 ოქტომბრის №176 დადგენილებით). ეს დებულება არეგულირებს ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის ნებართვის გაცემის წესს და პირობებს. ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის ნებართვის მისაღებად მაძიებელმა წამლის სააგენტოს უნდა წარუდგინოს რიგი დოკუმენტებისა, „ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ“ კანონის 25 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა.

წამლის კლინიკური კვლევის ჩატარებას აგრეთვე არეგულირებს საქართველოს კანონი **„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“** (გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებანი N 17-18, 1997 წ.), სადაც III თავის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ ფარმაკოლოგიური საშუალებების კლინიკური კვლევის წესებს საერთაშორისო ნორმების საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.**

წამლის კლინიკური კვლევის ჩატარებისას მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვლევის მაღალი ხარისხი და სარწმუნო სამედიცინო მონაცემების მიღება. აღნიშნულს უზრუნველყოფს კლინიკური კვლევების საერთაშორისო სტანდარტი ე.წ. „სწორი კლინიკური პრაქტიკა“ – „Good Clinical Practice“ (GCP), რომლის მიხედვითაც კლინიკური კვლევები იგეგმება, სრულდება, რეგისტრირდება იმ სახით, რომ საზოგადოება გარანტირებული იყოს, რომ კვლევის მონაცემები სარწმუნოა, რომ ადამიანის – გამოსაკვლევი პირის უფლებები და კონფიდენციალურობა დაცულია და სხვ.

ბოლო დროს მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში დაიწყო GCP სტანდარტის ჰარმონიზაციის პროცესი, რათა იმ ქვეყნებში არსებული კანონები მიეახლოებიათ ამ სტანდარტთან. აღნიშნულის საფუძველზე 1996 წელს საერთაშორისო საექსპერტო კომისიამ დაამთავრა სამუშაო ერთიან დოკუმენტზე „საერთაშორისო ჰარმონიზებული სამმხრივი წესები“ (ICH). 1997 წლიდან მან დაიწყო მოქმედება აშშ, ევროსაბჭოს ქვეყნებსა და იაპონიაში.

იმ პიროვნებებისთვის ან ორგანიზაციებისთვის, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ წამალთა კლინიკური კვლევების პრობლემებთან (ექიმი-მკვლევარი, სამეცნიერო ჯგუფი, მაკონტროლებელი ორგანო, მასმედიის წარმომადგენლები და სხვ.) **აუცილებელია ზემოთ აღნიშნული კანონების და დებულებების ზედმიწევნით კარგი ცოდნა, რათა ამა თუ იმ საკითხის სწორი ინტერპრეტაციისთვის, როგორც პროფესიული თვალსაზრისით, ასევე თავისუფალ პრესაში ინფორმაციის მიწოდებისას არ იყოს დაშვებული უხეში შეცდომები, რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი შეიძლება იყოს და რასაც ჩვენდა სავალალოდ ხშირად აქვს ადგილი ამ მეტად სპეციფიკური და რთული საკითხის გაშუქების დროს.**

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ზოგიერთ აქტუალურ საკითხს კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებით, რომლებიც ყველაზე ხშირად წარმოადგენენ დისკუსიის სფეროს, როგორც ექიმების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს შორის.

ახალი წამლის გამოჩენას ფარმაცევტულ ბაზარზე წინ უძღვის ხანგრძლივი და რთული პროცესი მისი კვლევის, შექმნის და კლინიკური გამოცდისა. კლინიკური ეტაპი ახალი პრეპარატის შექმნისა იწყება წამლის პრეკლინიკური გამოკვლევებით ცხოველებზე. ექსპერიმენტული კვლევები ცხოველებზე საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია პრეპარატის მოქმედების შესახებ რეპროდუქციულ ფუნქციაზე, შთამომავლობაზე, კანცეროგენურ პოტენციალზე, ტოქსიურობაზე და სხვ.

ამ ექსპერიმენტული სტადიის დამაკმაყოფილებელი გავლის შემდეგ პრეპარატი შეიძლება დაშვებულ იქნეს კლინიკური შესწავლისთვის ადამიანებზე, რომელიც გადის რამდენიმე ეტაპს ანუ 4 ფაზას: I ფაზა ეს არის პირველი გამოცდა ადამიანებზე, სადაც მონაწილეობს 20-80 ჯანმრთელი მოხალისე, ძირითადად მამაკაცები, რომლის დროსაც ადგენენ წამლის დოზას, მის უსაფრთხოებას, სწავლობენ წამლის ფარმაკოდინამიკას, ფარმაკოკინეტიკას და სხვ. მისი ხანგრძლივობა შეადგენს 6 თვიდან 1 წლამდე; II ფაზა კლინიკური გამოცდის, ეს არის პირველი ცდა, რათა პრეპარატი გამოყენებულ იქნეს იმ პაციენტებში, რომელთა სამკურნალოდაც შექმნილია ეს პრეპარატი. კვლევის II ფაზის ძირითადი მიზანია წამლის კლინიკური ეფექტურობის დამტკიცება განსაზღვრული ჯგუფის ავადმყოფებზე. ამ ფაზაში მონაწილეობს 200-600 ავადმყოფი. მას სხვანაირად პილოტური კვლევა ეწოდება, რომლის დროსაც ხდება წამლის უსაფრთხოების, დოზა-ეფექტის დადგენა და სხვ. აქვე უნდა განსაკუთრებით ვთქვა, რომ როგორც პრეკლინიკური (ცხოველებზე), ასევე I და II ფაზის კლინიკური კვლევები ტარდება იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრეპარატებია შექმნილი, ხოლო სხვა ქვეყნებში მისი ჩატარება პრაქტიკულად არ ხდება (გარდა გამონაკლისისა).

ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ტარდება III, IV ფაზის კლინიკური კვლევები. III ფაზა ტარდება მას მერე, რაც დადგენილი იქნება საკვლევი პრეპარატის ეფექტურობა და უსაფრთხოება. III ფაზის კვლევაში მონაწილეობს ათასობით ავადმყოფი (2000-ზე მეტი). გამოკვლევები ტარდება სხვადასხვა ჯგუფის ავადმყოფებზე. ბოლო დროს ხშირად ტარდება საერთაშორისო მეგაკვლევები, როდესაც მათში ჩართულია 10 000 და მეტი პაციენტი. კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით ამ ფაზაში ტარდება რანდომიზირებული (შემთხვევითი შერჩევა) კონტროლირებადი, როცა საკვლევ წამალს ადარებენ პლაცებოს (არააქტიური ნივთიერება) რეფერენტულ პრეპარატს ან სტანდარტულ მკურნალობას, რომელიც მიეცემა სტანდარტული მკურნალობის ფონზე.

კვლევა შეიძლება იყოს ბრმა, ორმაგი ბრმა ან ღია. ორმაგი ბრმა კვლევა ნიშნავს, როდესაც არც ავადმყოფმა და არც ექიმმა არ იცის რას ღებულობს ავადმყოფი პლაცებოს თუ საკვლევ წამალს. III ფაზის კვლევები ეს არის ძირითადად წამლის რეგისტრაციისთვის გამიზნული კვლევები (ანუ წამალი ჯერ რეგისტრირებული არ არის).

IV ფაზა ეწოდება პოსტმარკეტინგულ კვლევას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ტარდება წამლის ლიცენზირების (რეგისტრაციის შემდეგ) და იგი ტარდება, რათა მიღებულ იქნეს უფრო დეტალური ინფორმაცია წამლის უსაფრთხოების და ეფექტურობის შესახებ.

წამლის კლინიკური კვლევის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო მულტიცენტრული კვლევები, როდესაც კვლევაში ერთდროულად მონაწილეობს მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს სამედიცინო კლინიკა, რათა უფრო ფართო ინფორმაცია იქნეს მოპოვებული წამლის ეფექტურობის და უსაფრთხოების შესახებ.

ასეთი კვლევის საერთაშორისო ორგანიზაცია ძალიან რთულია. ძირითადად წამლის კვლევის საკოორდინაციო ცენტრები განლაგებულია დასავლეთ ევროპის და ამერიკის იმ კლინიკებში, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ. კვლევის მართვის კომიტეტში (Steering Committee) შედის ყველა მონაწილე ქვეყნის წამყვანი სპეციალისტი, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებით. მართვის კომიტეტის თავმჯდომარედ ირჩევენ მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მეცნიერს იმ დარგში რა პროფილითაც ტარდება კვლევა (მაგ. **კარდიოლოგიაში პროფ. ი.ბრაუნვალდი, აშშ; პროფ. ვანდერვერფი, ბელგია** და სხვ.).

წამლის კვლევაში მონაწილე ყველა ათასობით ავადმყოფის მონაცემი (კლინიკური, ლაბორატორიული და სხვ.) თავს იყრის საკოორდინაციო ცენტრის სტატისტიკისა და უსაფრთხოების დეპარტამენტში, სადაც ამ მონაცემების ანალიზი ხდება და შესაბამისი დასკვნები კეთდება. ეს მონაცემები წარედგინება რომელიმე ქვეყნის წამლის რეგისტრაციის ადმინისტრაციულ ორგანოს და ყველაზე ხშირად აშშ საკვებისა და წამლის სააგენტოს (FDA), სადაც წამლის რეგისტრაციის პროცესი რთულ ბიუროკრატიულ გზას გადის. **ამგვარად, წამლის შექმნა მოლეკულიდან დაწყებული მის რეგისტრაციამდე და სააფთიაქო სისტემაში მოხვედრამდე ხანგრძლივ და ურთულეს გზას გადის.**

იხ. 6 გვ.

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

**◎ ინფორმაცია**

## კინწურაშვილი მზადაა თანამდებობა დატოვოს

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი მზად არის, სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებისთანავე თანამდებობიდან გადადგეს.

როგორც კინწურაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მას არ სურს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირების საბაბი გახდეს.

პოლიტიკურ მოვლენებს თვალს ვადევნებ და არ მსურს, ვითარების კიდევ უფრო დაძაბვის საბაბი გავხდე. იმედია, კანონმდებლობას ყველა ადეკვატურად აღიქვამს, რომლის მიხედვითაც, ერთადერთი ორგანო, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებული ვარ, სამეურვეო საბჭოა. ამდენად, როგორც კი საბჭო დაკომპლექტდება, მზად ვარ, გადადგომის შესახებ განცხადებით მივმართო, – აღნიშნა თამარ კინწურაშვილმა.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე დიალოგის თანახმად, ეს, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს მოხდება.

ინტერპრესნიუსი

# მედიცინა

● ყოვლად დაუშვებელია ავადმყოფებზე წამალთა კლინიკური კვლევები გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო ნაშრომებში, დისერტაციებში ან სხვა მიზნით, თუ არ იქნება დაცული ყველა ის წესი და პირობა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოში არსებული კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით



## ◎ კითხული კაცის აზრი

# როცა სიცოცხლე წამალზე ჰკიდია!

(მეხუთე გვერდიდან)

ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად ტარდება 150 000 კლინიკური კვლევა.

**რაც შეეხება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მონაწილეობას საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში ამ პროცესს მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ქვეყნის ევროსაბჭოში გაერთიანებამ და ზემოთ მოყვანილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებამ. მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით სამედიცინო კლინიკების აქტივობა ამ მიმართულებით შედარებით მოკრძალებულია. ბოლო 10 წლის განმავლობაში სულ ჩატარდა 18 საერთაშორისო მულტიცენტრული კვლევა. ამასთან ერთად, მისასალმებელია, რომ ყველა ეს კვლევა ჩატარებულია მაღალი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით და რაც მთავარია, ისინი დადებითად შეფასდა საერთაშორისო აუდიტების მიერ და, შესაბამისად, სერტიფიცირებულია ჯანდაცვის სამინისტროს, აგრეთვე წამლის სააგენტოს არც ერთი უარყოფითი დასკვნა არ მიუღია სპონსორის ან კვლევის საკოორდინაციო ცენტრის მხრიდან.**

**2000 წლის ოქტომბერში საქართველოში პირველად ჩატარდა სასწავლო მეთოდოლოგიური კურსი „სწორი კლინიკური პრაქტიკა“ (Good Clinical Practiced, 80 ექიმმა მიიღო სპეციალური სერტიფიკატი. მისი ორგანიზატორი იყო კლინიკური და ფარმაკოლოგიური კვლევის ცენტრი (თბილისი, სანკტ-პეტერბურგი, ლოს-ალტოსი, აშშ).**

ცხადია, რომ საერთაშორისო კლინიკურ კვლევებში საქართველოს სამედიცინო დაწესებულებების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა სამედიცინო პერსონალს საშუალება მიეცეს მიესადაგოს განვითარებულ ქვეყნებში ავადმყოფთა მკურნალობის ეთიკურ, უმაღლეს ტექნოლოგიურ და პროფესიულ სტანდარტებს. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ **ყოვლად დაუშვებელია ავადმყოფებზე წამალთა კლინიკური კვლევები გამოყენებულ იქნეს სამეცნიერო ნაშრომებში, დისერტაციებში ან სხვა მიზნით, თუ არ იქნება დაცული ყველა ის წესი და პირობა, რომელიც განსაზღვრულია საქართველოში არსებული კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით.**

წამალთა კლინიკური კვლევები მეტად შრომატევადი სამუშაოა, მოითხოვს მკვლევართა ჯგუფის ყოველდღიურ, დაძაბულ მუშაობას, მათი გონებრივი და ფიზიკური რესურსების მობილიზაციას, რომელიც ძირითად სამუშაო დროზე მეტ დროს საჭიროებს და ზოგჯერ იგი დღე-ღამეში 12-18 საათს მოიცავს. მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმი-მკვლევარი თვეების და ზოგჯერ წლების განმავლობაში აკვირდება ავადმყოფთა გარკვეულ ჯგუფს, აწარმოებს პროფილაქტიკურ გასინჯვებს (მონიტორინგს), აწარმოებს ავადმყოფის სპეციალურ სამედიცინო დოკუმენტაციას (CRF) და ყველა ამ მონაცემს ინტერნეტის საშუალებით პერმანენტულად გადასცემს კვლევის საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრის შესაბამის განყოფილებებს. ექიმი კვლევის განმავლობაში იმყოფება საკოორდინაციო ცენტრთან ორმხრივ კავშირში (ტელეფონი, ინტერნეტი, ფაქსი) და ვალდებულია მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიაწოდოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ავადმყოფის კლინიკურ კვლევასთან.

არსებობს წამალთა კლინიკური კვლევები რომლებიც სუფთა მეცნიერული ხასიათისაა. ასეთ კვლევებს ხშირად ატარებს აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ცენტრი (NIH, NHLBI, ბეტესტა), რომელსაც აფინანსებს აშშ კონგრესი. საქართველოს კარდიოლოგიური კლინიკები ამ სახის კვლევაში ორჯერ მონაწილეობდნენ (MAGIC, TOP-CAT).

ამჟამად მთელ მსოფლიოში ასობით და ათასობით ავადმყოფი ჩართულია წამლის კლინიკურ კვლევებში, სადაც ავადმყოფები მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას ღებულობენ და რაც მთავარია ეს კვლევები ემსახურება ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წამალთა კლინიკური კვლევები არ არის დაზღვეული რიგი ნაკლისა ან შეცდომებისგან (ისევე როგორც ექიმთა პროფესიული საქმიანობა) და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში იგი სპეციალური განსჯის საგანი შეიძლება იყოს ეთიკურ, ბიოეთიკურ კომისიებში რომლებიც დაკომპლექტებულია ამ საკითხის მცოდნე სპეციალისტებით. არ შეიძლება ასეთი საკითხების არაპროფესიულ დონეზე განხილვა, რასაც ზიანის გარდა არაფერი მოაქვს არც ავადმყოფისთვის და არც საზოგადოებისთვის და რაც მთავარია, შეიძლება დისკრედიტაცია მოახდინოს ამ მეტად მნიშვნელოვანი მეთოდისა, რომელიც მიმართულია ახალი სამკურნალო საშუალების შესაქმნელად. **წარმოუდგენელია, რომ საქართველოში და მთელ მსოფლიოში შეწყდეს პრეპარატების კვლევა და შესაბამისად მათი წარმოება.**

განსაკუთრებით გვინდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ხშირად იწვევს საზოგადოების, ზოგჯერ პრესის მკვეთრ რეაქციას და შეეხება კლინიკურ კვლევაში მყოფი ავადმყოფის რაიმე გართულებას ან ფატალურ შემთხვევას. საერთოდ, მიღებულია, რომ კლინიკური კვლევები ძირითადად ტარდება ავადმყოფებზე მძიმე დაავადებებით (ონკოლოგიური, ინფექციური, გულსისხლძარღვთა და სხვ.), რომელთაც საერთოდ ახასიათებთ ხშირი გართულებები და მაღალი ლეტალობა. მაგალითად, **მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით ავადმყოფთა სიკვდილიანობა 15-20 წლის წინათ შეადგენდა 30-40 პროცენტს (ე. ი. 100 ავადმყოფიდან იღუპებოდა 30-40 ავადმყოფი). ამჟამად თანამედროვე სადიაგნოსტიკო (კორონაროგრაფია) და სამკურნალო (ანგიოპლასტიკა-სტენდირება) და ანტითრომბოზულმა მკურნალობამ (თრომბოლიტიკები, ანტიაგრეგანტები, ანტიკოაგულანტები და სხვ.) საშუალება მოგვცა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით სიკვდილიანობის შემცირება თითქმის 8-15 პროცენტამდე, რაც თანამედროვე მედიცინის და კერძოდ კარდიოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მაღალორგანიზებულ კლინიკურ კვლევებს მიუძღვის.** მიუხედავად ამისა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით ავადმყოფთა სიკვდილიანობა დღემდე მაინც მაღალი რჩება (განსაკუთრებით უეცარი სიკვდილის შემთხვევები) და თუ დავუშვებთ რომ ამ დაავადებით ავადმყოფი კლინიკურ კვლევაში მონაწილეობდა და ეს შემთხვევა ლეტალურად დამთავრდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაკეთდეს ნაჩქარევი დასკვნა, რომ ეს დაკავშირებულია საკვლევ წამალთან, რამდენადაც ეს ექვემდებარება ექსპერტთა სპეციალურ ანალიზს, რომელიც კეთდება ყველა მონაცემების შესწავლის საფუძველზე. რაც შეეხება ადგილობრივ მკვლევარებს, ასეთი დასკვნის გაკეთება სცილდება მათი კომპეტენციის საზღვრებს და მათ შეუძლიათ გამოხატონ მხოლოდ თავიანთი ვარაუდი იმ კითხვარის მიხედვით, რომელიც კვლევის ოქმშია მოცემული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ექიმი-მკვლევარი ვალდებულია ავადმყოფს (ზოგჯერ მის ახლობლებს) გააცნოს ყველა ის დადებითი სარგებელი რაც გააჩნია კლინიკურ კვლევას, რომელშიც ის აპირებს მონაწილეობას და აგრეთვე ის რისკები (ცნობილია, რომ თითქმის ყველა წამალს აქვს გვერდითი მოვლენები), რომლებიც ჩამოყალიბებულია თანხმობის ფორმაში და ხელმოწერით დაადასტუროს თავისი თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე (consent). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ავადმყოფის მონაწილეობა კვლევაში აბსოლუტურად ნებაყოფლობითია და იგი დაცულია კანონით **„პაციენტის უფლებების შესახებ“.**

ზოგიერთ შემთხვევაში წამლის კლინიკური გამოცდის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს წამლის არაეფექტურობას ანდა არასასურველ გვერდით მოვლენებს, რომლის შესახებ დასკვნას აკეთებს წამლის საერთაშორისო კვლევის საკოორდინაციო ცენტრი ყველა არსებული კანონმდებლობის დაცვით. ეს ინფორმაცია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს კომპეტენტური ექსპერტების დასკვნას, შეიძლება გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და ეს საერთოდ მიღებული პრაქტიკაა.

არსებობს აზრი, რომ წამლის კლინიკური კვლევები უფრო ხშირად ტარდება დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, რამდენადაც იქ კვლევებთან დაკავშირებული დანახარჯები დაბალია და სხვ., რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს, პირიქით კლინიკური კვლევები მნიშვნელოვნად ხშირად ტარდება იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ცხოვრების დონე მაღალია, სამედიცინო მომსახურეობა უფრო თანამედროვეა, ექიმებს გააჩნიათ მაღალი კვალიფიკაცია და, რაც მთავარია, მოსახლეობა მოტივირებულია მონაწილეობა მიიღოს კლინიკურ კვლევებში. ამ მხრივ პირველ ადგილზეა აშშ, ხოლო ევროპაში სკანდინავიის ქვეყნები, სადაც ყოველწლიურად ასობით და ათასობით კლინიკური კვლევები ტარდება.

**ხშირად მასმედია გარკვეულ ინტერესს გამოხატავს წამალთა კლინიკური კვლევების საკითხისადმი. მას, რა თქმა უნდა, შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ხედვა ამ პრობლემის მიმართ, აგრეთვე გამოხატოს როგორც დადებითი ასევე კრიტიკული შენიშვნები, ეს ნორმალური მოვლენაა. მაგრამ ამასთან ერთად, აუცილებელია სერიოზული ინფორმაცია, რომელიც შეეხება წამლის კვლევას, მოპოვებული იქნეს კომპეტენტური სპეციალისტებისგან, რომლებიც ძირითადად ამ სფეროში მოღვაწეობენ ან სასურველია ეყრდნობოდეს კვლევის საკოორდინაციო ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ან ბიოეთიკური და ეთიკური კომისიების დასკვნებს. რამდენადაც ეს პრობლემა მეტად რთული და სათუთია, იგი ყურადღებას საჭიროებს პრესის მუშაკების მხრიდან. ყოვლად დაუშვებელია ისეთი განსაზღვრებების ხმარება, როგორიცაა „მე ვფიქრობ, რომ ეს წამლის ბრალია“** ან **„მე ამის შესახებ მითხრა ჩემმა მეზობელმა ექიმმა“** და სხვ. ასევე ყოვლად დაუშვებელია ისეთი ტერმინების ხმარება ავადმყოფთა მიმართებაში, როგორიცაა **„საცდელი ბაჭია, ვირთაგვა“** და სხვ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ ამ შემთხვევაში ირღვევა პაციენტის ფუნდამენტური უფლებები კვლევაში მონაწილეობის კონფიდენციალობის შესახებ. ამ სახის პუბლიკაციები არ ემსახურება ავადმყოფის ინტერესებს, უნდობლობას თესავს საზოგადოებაში, საერთოდ ახდენს დისკრედიტაციას ამ მეტად მნიშვნელოვანი მეთოდისა, რომელიც ემსახურება ახალი სამკურნალო საშუალების შექმნას.

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ამჟამად მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში ათასობით და ათიათასობით ავადმყოფი მონაწილეობს წამალთა კლინიკურ კვლევებში. ისინი იღებენ მაღალკვალიფიცირებულ სამედიცინო დახმარებას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კონტროლირდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მაღალი რანგის სპეციალისტების მიერ, ხოლო რიგი კლინიკო-ლაბორატორიული ანალიზების ნაწილი კეთდება აშშ და ევროპის სპეციალურად ამ მიზნებისთვის შექმნილ ლაბორატორიებში.

ამგვარად, წამალთა კლინიკური კვლევები ემსახურება ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნას, რაც თავის მხრივ მთელი რიგი დაავადებების თავიდან აცილების, ავადმყოფთა გამოჯანმრთელებას უზრუნველყოფს და რაც მთავარია, იგი ხელს უწყობს მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას და სიკვდილიანობის შემცირებას.

**წამლის კლინიკური კვლევები ემსახურება მედიცინის პროგრესს, ხოლო ახალი სამკურნალო საშუალებების შექმნა და მისი პრაქტიკულ მედიცინაში დანერგვა მაღალორგანიზებული კლინიკური კვლევების გარეშე შეუძლებელია, მას ალტერნატივა არ გააჩნია.**


**ბონდო ქობულია,**
მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიური ინსტიტუტის სს თავმჯდომარე, ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების და ამერიკის კარდიოლოგიური კოლეჯის საპატიო წევრი, პროფესორი.


## ◎ ინფორმაცია

### ცესკოს როგორი თავმჯდომარე იქნება ვახტანგ ხმალაძე?

საპარლამენტო ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი ზურაბ ტყემალაძე დარწმუნებულია, რომ ვახტანგ ხმალაძე ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატურა იქნება.

როგორც ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, იგი ყოველთვის აყენებდა ხოლმე ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურას, რადგან მის მაღალ პროფესიონალიზმში დარწმუნებულია.

ხმალაძე კონსტიტუციის ავტორია და კარგად იცის, როგორც კონსტიტუცია, ისე საარჩევნო კანონმდებლობა. მასზე უფრო კარგი კანდიდატურა ამ თანამდებობაზე არ მეგულება. მნიშვნელობა არ აქვს, რომელი პარტიის წევრი იქნება ვახტანგ ხმალაძე, რადგან ვინც მას კარგად იცნობს, ყველამ იცის, რომ საკუთარ თავთანაც კი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ არ არის დარწმუნებული მის ობიექტურობაში, – აცხადებს ტყემალაძე.

ამასთან, ვახტანგ ხმალაძე ადასტურებს, რომ ოპოზიცია ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ხელისუფლებას მის კანდიდატურას სთავაზობს.

ინტერპრესნიუსი

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

## თემა

**● მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ისე უნდა გააგრძელოს არსებობა, როგორც ეს სურდათ დიდ მამულიშვილებს: ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, პეტრე მელიქიშვილსა და მათ თანამოაზრეებს. აი, მაშინ იქნება ის სრულყოფილი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც ქართველ ახალგაზრდობას შეაყვარებს ენას, მამულსა და სარწმუნოებას**

◎ გუშინ, დღეს...

# ეს უნივერსიტეტია თუ მისი აჩრდილი?


ივანე ჯავახიშვილი


ექვთიმე თაყაიშვილი

**ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№25) დაიბეჭდა პროფესორ მერაბ ჯიბლაძის მეტად მძაფრი და დამაფიქრებელი წერილი: „8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 90 წლის გახდებოდა!“ წერილის ბოლოს ვკითხულობთ: „მშვიდობით უნივერსიტეტო... შენ შეასრულა შენი მისია! ჩვენ უძლურნი აღმოვჩნდით და ვერ დაგიცხავით, ვერ გადაგარჩიეთ“.**

საკმაოდ გაბედული, ადამიანური და მართალი ნათქვამია განათლების რეფორმატორების მიმართ. წერილის სათაურიც მეტად დამაფიქრებელია, მაგრამ არც თუ საჩოთირო. მისი კითხვა რომ დავამთავრე, ცუდ ხასიათზე დავდექი. თვალწინ წარმომიდგა ჩვენი დროის – ნიკო კეცხოველისეული, ვიქტორ კუპრაძისეული, ილია ვეკუასეული, ევგენი ხარაძისეული, ნოდარ ამაღლობელისეული უნივერსიტეტი თავისი შესანიშნავი პროფესორ-მასწავლებლებითა და ნიჭიერი ქართველი, რუსი თუ სომეხი სტუდენტებით.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში ლომის წილი მიუძღვით ისეთ სახელოვან მამულიშვილებს, როგორებიც ბრძანდებოდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, იოსებ ყიფშიძე, ანდრია რაზმაძე, ანდრია ბენაშვილი, იუსტინე აბულაძე.

მომდევნო პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის აუდიტორიებში სტუდენტებს ცოდნაგანათლებას აძლევდნენ ისეთი ბრწყინვალე მეცნიერები, როგორებიც ბრძანდებოდნენ: შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვუკოლ ბერიძე, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, შოთა მესხია, ნიკო ქორიავა, სერგი ჯიქია, ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიგო ნათაძე და ბევრი სხვა.

უკანასკნელ პერიოდში განათლების სისტემაში ჩატარდა ე. წ. რეფორმა. ჩვენ, რა თქმა უნდა, რეფორმის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ის უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ შეგნებაში, ეროვნულ ყოფიერებაში. ამ რეფორმით უგულებელყოფილი არ უნდა ყოფილიყო ქართული ისტორიული და კულტურული ფასეულობები. რეფორმის შედეგად უნივერსიტეტში ცალ-ცალკე აღარ არსებობს ისტორიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტები, აბა ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტები ხომ ფაქტობრივად გაპარტახებულია.

ჯერ კიდევ ადრე, უნივერსიტეტის ოფიციალურ გახსნამდე, 1917 წლის 27 დეკემბრის პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმში ვკითხულობთ: უნივერსიტეტში საერთო საგნებად, ე.ი. ყველასათვის სავალდებულო საგნებად ცნობილი იქნას: ლოღიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, საქართველოს ისტორია, ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. მართლაც, რომ იმ დროისათვის იდეალური გადაწყვეტილებაა. აქ მთავარი ის არის, რომ სხვა საგნებთან ერთად წინა პლანზე წამოწეულია მშობლიური ქვეყნის, საქართველოს ისტორიის შესწავლა და არა ისე, როგორც ამ საგანს დღეს ასწავლიან სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც: ხან გეოგრაფიასთან და ხან მსოფლიო ისტორიის საკითხებთან ერთად. აი, ეს არის დანაშაული აწმყოსა და მომავლის წინაშე. საკუთარი ქვეყნის ისტორია ყველა სასწავლებელში მაღალ დონეზე უნდა იკითხებოდეს და მისაღებ გამოცდებზეც მაღალ დონეზე უნდა ფიგურირებდეს და არა ისე, როგორც დღეისათვის პრიორიტეტი მინიჭებული აქვს არაფრისმომცემ უნარ-ჩვევებს. საზღვარგარეთიდან ყველაფრის კალკირება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

მიუხედავად ჩვენი ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობისა, მკითხველს მინდა შევახსენო ის პატრიოტული და შემოქმედებითი ატმოსფერო, რაც საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის წინ სუფევდა.

1917 წლის 26 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე (კარგი იქნება თუ მისამართი დადგინდება და იმ სახლს მემორიალური დაფა გაუკეთდება) გაიხსნა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი თავმჯდომარეობდა, მდივანი იყო აკაკი შანიძე, აღნიშნულ ისტორიულ სხდომას ესწრებოდნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე და დიმიტრი უზნაძე. სხდომაზე უნივერსიტეტის პროფესორებად აირჩიეს: სერგი ავალიანი, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე და ივანე ჯავახიშვილი. მეცნიერ ხელმძღვანელებად აირჩიეს: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხაკო წერეთელი და იუსტინე აბულაძე. როგორც ამ ოქმიდან ჩანს, იმ დროს ქართული გიმნაზიის შენობა ჯერ კიდევ უნივერსიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენდა.

1918 წლის 10 იანვარს ქართული უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, რომ უნივერსიტეტი გაიხსნას 26 იანვარს (დავით აღმაშენებლის დღეს, რომლის სახელზეა აშენებული ქართული გიმნაზიის ეკლესია) და არა 14 იანვარს. 1918 წლის 13 იანვარს პროფესორთა საბჭოს სხდომა პირველად ქართული გიმნაზიის შენობაში ჩატარდა, ანუ დღევანდელი უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. სხდომაზე დაამტკიცეს უნივერსიტეტის წესდება ახალი რედაქციით. პირველი მსოფლიო ომის დროს გიმნაზიის შენობა ჰოსპიტალად გადაკეთდა და იგი ფუნდამენტურ შეკეთებას საჭიროებდა. აღნიშნული სამუშაოებისათვის სათანადო თანხა ქართველმა თავადაზნაურობამ გაიღო, ხოლო სამუშაოს ივანე ჯავახიშვილის დავალებით ინჟინერი გიორგი ქურდიანი უძღვებოდა. გიმნაზიის შენობა იმდენად მოუვლელი და გაპარტახებული იყო, ივანე ჯავახიშვილს პირადად მოუწია სადურგლო სახელოსნოში შეეკვეთა 30 ცალი სკამი. ამავე სხდომაზე უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, პროფესორთა საბჭოს მდივნად პროფესორი იოსებ ყიფშიძე, ხოლო კრების ერთსულოვანი თხოვნით ხაზინადარობა დაევალა ფილიპე გოგიჩაიშვილს.

მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ისე უნდა გააგრძელოს არსებობა, როგორც ეს სურდათ დიდ მამულიშვილებს: ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, პეტრე მელიქიშვილსა და მათ თანამოაზრეებს. აი, მაშინ იქნება ის სრულყოფილი ქართული უნივერსიტეტი, რომელიც ქართველ ახალგაზრდობას შეაყვარებს ენას, მამულსა და სარწმუნოებას. სხვა უკეთესი გზა ქართველთათვის არ არსებობს, რომელიც დიდმა ილია ჭავჭავაძემ ანდერძივით დაგვიტოვა.

**დურმიშხან ცინცაძე**

◎ ძეგლი

## „სიმფონია-ლექსიკონი“ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით

**„ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ სიმფონია-ლექსიკონის II ნაწილი (მ – რ) გამოიცა. წიგნი გამოსაცემად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მომზადდა.**

როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან იტყობინებიან, ასეთი მოცულობის და ქართული ორიგინალური მწერლობის მთელი ჟანრის (აგიოგრაფია) სიმფონია-ლექსიკონი პირველად ქვეყნდება.

სიმფონია-ლექსიკონი 1963-1972 წლებში გამოცემული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ ოთხი ტომის მასალას მოიცავს. ქართული აგიოგრაფია არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი (IV-XVIII სს.) განვითარების სურათს ასახავს, არამედ ამავე დროს, საქართველოს ისტორიის უმდიდრეს მასალას (ეს თხზულებები მოგვითხრობენ პიროვნებათა ცხოვრება-წამებაზე კონკრეტულ დროსა და სივრცეში) შეიცავს.

„ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ სიმფონია-ლექსიკონი განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ წარმოდგენილია მხოლოდ ორიგინალური მწერლობის მასალა, რომელიც IV-XVIII საუკუნეებში შეიქმნა. ქართული ენის ისტორიის მკვლევარს კი საშუალება ეძლევა, დაადასტუროს ენის განვითარების ეტაპები (წარმოდგენილია პარალელური ფორმებით; მასალა დალაგებულია გრამატიკული კატეგორიების მიხედვით ისტორიულ ჭრილში); საინტერესოსურათია ფონეტიკური და მორფოლოგიური კატეგორიების ცვლილებების თვალსაზრისითაც, დასტურდება ზოგიერთი სალექსიკონო ერთეულის განსხვავებული სემანტიკური ნიუანსი, – განაცხადა ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ.

სიმფონია-ლექსიკონის მნიშვნელობა მრავალმხრივია იმის გამო, რომ იგი არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი დარგის სპეციალისტების ინტერესებით. იგი მნიშვნელოვანი შენაძენი გახდება ჰუმანიტარული დარგების (ფილოლოგია, ლინგვისტიკა, ისტორია, დიპლომატია, ისტორიული გეოგრაფია) მეცნიერული კვლევისათვის.

სიმფონია-ლექსიკონი შედგენილია ქართულ ლექსიკოლოგიაში მიღებული პრინციპების გათვალისწინებით.

აღნიშნული გამოცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება.

გამოცემა განზრახულია ოთხ ტომად. IV ტომი მოიცავს პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ინფორმაცია

## გეგმური მომზადება სამხედრო სწავლებაში აერიათო

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობა ქართულ მედიას მორიგი დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ რუსი სამშვიდობოების ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

სარდლობის განცხადებით, ოჩამჩირესთან მდებარე პოლიგონზე სამშვიდობოების გეგმური მომზადება მიმდინარეობს და არა სამხედრო სწავლება, როგორც ამას ქართული მედია იუწყებოდა.

– მსგავს საცეცხლე მომზადებას ყველა სამშვიდობო გადის, რომლის დროსაც საშტატო იარაღიდან სროლაში ვარჯიშობს. რაც შეეხება რუსი სამშვიდობოების მომზადებაში უკანონო შეიარაღებული ფორმირებიდან 300 აფხაზის მონაწილეობას, ეს აბსოლუტური ტყუილია ისევე, როგორც ის, რომ სწავლებას აფხაზი სეპარატისტების სამხრეთის სარდალი ვლადიმერ ანუა ხელმძღვანელობს, – აცხადებს სამშვიდობოების სარდლობა და დასძენს, რომ რუსი სამშვიდობოები მანდატის სრული დაცვით მოქმედებენ.

სოფელ ურთადან რუსი სამშვიდობოების ტექნიკის ენგურზე გადასვლისა და ოჩამჩირის პოლიგონზე სამხედრო სწავლების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია ორი დღის წინათ გავრცელდა.

## ახალგაზრდები პრესტიჟული პრიზისთვის იბრძოლებენ

საქართველო საერთაშორისო კონკურსს „ალიანტე“ უერთდება.

კონკურსი განკუთვნილია სკოლის მოწაფეებისათვის 15-დან 19 წლამდე და რამდენიმე ეტაპად ტარდება. საქართველოში მის ჩატარებასა და გამარჯვებულ მონაწილეთა გამგზავრებას პროექტის ნაციონალური კოორდინატორი „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ და საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ ახორციელებს.

როგორც განათლების სამინისტროდან იტყობინებიან, კონკურსის მიზანია, ახალგაზრდებისთვის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის, უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების უკეთ გაცნობა.

კონკურსი სამი რაუნდისგან შედგება.

„ალიანტე 2008“-ის გამარჯვებულები პრიზის სახით მიიღებენ 10-დღიან ექსკურსიას ნორვეგიაში. იქიდან გამომდინარე, რომ ალიანტეს ოჯახი სწრაფად იზრდება, წელს გამორჩეული ახალგაზრდები ჩეხეთის რესპუბლიკიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან, უნგრეთიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, სლოვაკეთიდან, შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, წელს პირველად, ფინეთიდან და საქართველოდან, პრესტიჟული პრიზისთვის იბრძოლებენ.

„ალიანტე 2008“ ფინალი ხორციელდება ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს და ნატოს საზოგადოებრივი დიპლომატიის განყოფილების ხელშეწყობით.

**ინტერპრესნიუსი**

**აგროტურიზმის განვითარებისთვის უაღრესად საყურადღებო და დამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ საქართველოში გვხვდება 25 ათასი მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400 მინერალური წყარო (მ. შ. ნახევარზე მეტი ცხელი წყაროძ; ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის 38,8 პროცენტი, 54 პროცენტი — მთებს, 33 პროცენტი — მთისწინებს, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 320 კილომეტრია**



**თვალსაზრისი**

# ტურისტს ბევრი რამ მოსტაცებს მზერას

## აგროტურიზმის განვითარებას საქართველოში დიდი მომავალი აქვს

***საქართველო ძალზე მრავალფეროვანი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მის სპეციალიზაციაზე, გაადგილებაზე, წარმოების ტენდენციებსა და მასშტაბებზე.***

***ეს მახასიათებლები შესამჩნევად, ზოგჯერ რადიკალურადაა განსხვავებული ცალკეული ზონისა და მიკროზონის მიხედვით, რაც მართვის სისტემის თვალსაზრისით სრულიად სპეციფიკურ დამოკიდებულებას მოითხოვს.***

***ამ საერთო სისტემაში, თანდათანობით იკვეთება და უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვნად ამაღლდება ტურიზმის როლი და შესაძლებლობები.***

სოფლის მეურნეობასთან დამოკიდებულებაში სპეციფიკურ, თანამედროვე მოდელისა და მომავლის ხედვის პროგრესულ ფორმად ყალიბდება აგროტურიზმის პროფილის ფორმირებების შექმნა და მორგებულ მენეჯმენტზე აგებული ფუნქციონირება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ამ გამორჩეული ფუნქციის შესრულება საკმაოდ დააგვიანდა და თუ გავითვალისწინებთ ახალი მსოფლიო წესრიგისა და გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესის მოთხოვნა-მოტივაციებს, აგროტურიზმის სფეროს სისტემური განვითარება უკვე დროის მოთხოვნა ხდება და მან უნდა გააძლიეროს და განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ხელი შეუწყოს ადგილობრივი უნიკალური, ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური უკუგებით გამოყენებასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელობა, ხელშემწყობი გარემოებები, აუცილებლობა და წინაპირობები დასტურდება იმით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძლოლის კულტურის ნიშნები აისახა მითოლოგიურ და ეთნოგრაფიულ სიგელებში, რაც გამოვლენილია ამ დარგთან დაკავშირებულ ადათწესებსა და წეს-ჩვეულებებში, სარწმუნოებრივი ხასიათის რიტუალებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველო, სოფლის მეურნეობის სპეციფიკის თვალსაზრისით, მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია. საქვეყნოდაა ცნობილი, რომ საქართველო ხორბლისა და ვაზის ერთ-ერთი სამშობლო და აკვანია.

უაღრესად საყურადღებოა და ფრიად ანგარიშგასაწევი, რომ საქართველოში ხალხური სელექციის მიღწევად ითვლება ხევსურული ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური სამთო-სატყეო სამომთაბარო ღორი, ქართული რუხი, გრძელხორთუმიანი ფუტკარი და სხვა.

ყოველივე ეს ტურისტთა დიდ ინტერესს დაიმსახურებს და მათთვის ახალი ტექნოლოგიების (რომელიც სელექციასაც მოიცავს) გამოყენების წყარო გახდება.

აგროტურიზმის განვითარებისთვის უაღრესად საყურადღებო და დამახასიათებელი ფაქტორია ის, რომ საქართველოში გვხვდება 25 ათასი მდინარე, 860 ტბა, 688 მყინვარი, 1400 მინერალური წყარო (მ. შ. ნახევარზე მეტი ცხელი წყაროძ; ტყეებს უკავია მთელი ტერიტორიის 38,8 პროცენტი, 54 პროცენტი — მთებს, 33 პროცენტი — მთისწინებს, შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 320 კილომეტრია.

აგროტურიზმის განვითარებისთვის თითქმის ფასდაუდებელია საქართველოს მრავალფეროვანი კონტრასტული ბუნება უმდიდრესი ფლორითა და ფაუნით, დიდი სამონადირეო და სათევზაო სივრცით, ტყის ფონდის სიდიადითა და უნიკალობით, სამთო-სათხილამურო ტრასებით, აგრეთვე მდიდარი ისტორიული, საეკლესიო-ხუროთმოძღვრული ანსამბლებით.

ტურისტების დიდ დაინტერესებასა და გაოცებას გამოიწვევს ის, რომ მთის სოფლებში კვლავ შემორჩენილია და მისდევენ ორიგინალურ ხალხურ ხელოსნობას — თიხის სხვადასხვა ჭურჭლისა და კერამიკული ნაწარმის, ხის მერქნით დაწნული ნივთების დამზადებას, სვანური, თუშური და კახური ქუდების კერვას, განუმეორებელი სუვენირების კეთებას (მთიან სოფლებსა და ზღვის სანაპირო ზოლშიძ, დაზგურ-სამხატვრო და ჭედური ნაწარმის დამზადებას და სხვა. ტურისტებისთვის ყურადღებამისაქცევი იქნება ნიადაგის დამუშავების და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ადგილობრივი ტექნოლოგია, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების წესები (ჩურჩხელის, ფელამუშის, ტყლაპის, ჩირის, ტყემლის საწებლის და სხვათა დამზადებაძ.

აგროტურიზმის ქართული იმიჯის შემქმნელი იქნება ის ფორმა, რომ ტურისტები იცხოვრებენ გლეხთა (ფერმერთაძ სახლებში — როგორც ორიგინალურ მინი-ტურისტულ სასტუმროებში, გამოეთიშებიან ცივილიზებული სამყაროს სტრესებს და ჩაერთვებიან გლეხური ცხოვრების ატმოსფეროში, რომელიც მოიცავს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებას, ბოსტან-ბაღჩაში საქმიანობას, ველ-მინდვრებსა, სათიბ-საძოვრებსა, ჭალებსა და ტყის ზოლში ერთობლივ საქმიანობასა და გართობას, სკაუტურ ცხოვრებას, ტყისპირებში სოკოს შეგროვებას, ჟოლოს, მოცვის, შინდის, მაყვლის, პანტის, ზღმარტლის, ასკილის, უნაბის, ფშატის და ტყის ფლორის სხვა პროდუქტების მოპოვებას. საინტერესო და დიდი გამოყენებითი მნიშვნელობისა იქნება სამკურნალწამლო ბალახეულობის შეგროვება და ხალხური მედიცინის გაცნობა.

აგროტურისტებს მოელით მინი-ტურისტული სასტუმროების ახლომახლო არემარეში შთაბეჭდილებებით აღსავსე ტურისტული მოგზაურობები, ისტორიული ძეგლების ხილვა, საეკლესიო ლოცვებისა და მრავალხმიანი გალობების მოსმენა, ორიგინალური სამზარეულოს დაჭაშნიკება, ვარსკვლავებით მოჭედილი, მოწმენდილი ცის ქვეშ სოფლის საღამური იდილიები, მთვარიანი საღამოს ჟამს სოფლის გოგო-ბიჭების ცეკვა-თამაში და ბევრი სხვა საოცარი ტურისტული თავგადასავალი.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარებას იმდენად დიდი პერსპექტივები აქვს, რომ იგი უეჭველად მოითხოვს მართვისა და რეგულირების თანამედროვე, მომავალზე ორიენტირებული ავტომატიზებული სისტემის შექმნა შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და მონაცემთა ბაზით.

აგროტურიზმის განვითარება მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმისა და ინსტიტუციური სისტემის დამუშავებას, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი სრულყოფილი მართვა და რეგულირება. ეს მოიცავს მორგებული ეკონომიკური და სამართლებრივი ბაზის შექმნასა და შესაბამისი ნორმების დამუშავებას.

საჭირო იქნება, შედგეს აგროტურიზმის რეგიონული ატლასი, რაც მარკეტინგული მოტივაციების რეალიზაციისა და უზრუნველყოფის საფუძვლად იქნება მიჩნეული. ასეთი ატლასის შექმნა საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთო სისტემაში უდავო სიახლეა.

აგროტურიზმის განვითარება საქართველოში ბევრი სხვა სპეციფიკური და მკაცრად მიზნობრივი ამოცანის გადაწყვეტასაც მოითხოვს, რამაც საერთო ჯამში უნდა შექმნას აგროტურიზმის ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა და სამსახური, რომლის რეალიზაციაც განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს და აამაღლებს მის როლსა და ფუნქციას მსოფლიო თანამეგობრობაში.

მეცნიერები ახლა ფართოდ განიხილავენ ახალ თეორიას — მომხმარებლის არჩევანის თეორიას. ეს არის ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების აღწერა და შესრულება. აგროტურიზმის განვითარება ამ პოზიციის რეალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა და საშუალებაა.

აგროტურიზმის, როგორც დიდი, პერსპექტიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემის კვლევის მიზანი უნდა იყოს ზონალურ-დიფერენცირებული თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოში აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობებისა და არეალის განსაზღვრა, მისი სისტემური მოდელის შექმნა, მართვისა და რეგულირების ეკონომიკური მექანიზმის დამუშავება და უკუგების ოპტიმიზირებული დონეების დადგენა.

ამ მიზნის შესაბამისად, ცალკეული ამოცანების დონეზე:

გამოვლინდება აგრარული სექტორის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციები და კანონზომიერებები ზონალურ ჭრილში, განისაზღვრება და შეფასდება მისი პოტენციალი და მორგებულობა აგროტურიზმის განვითარებისადმი;

შეირჩევა და განისაზღვრება აგროტურიზმის განვითარების პროგრესული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები მინი-ინტეგრირებული ფორმირებების პრიორიტეტულობის დაცვით და შემუშავდება მათი ფუნქციონირების ეკონომიკური და სამართლებრივი პრინციპები და ნორმები;

განისაზღვრება აგროტურიზმის პროფილის, მ. შ. მინი-ინტეგრირებულ ფორმირებათა განვითარების პროგნოზული ტექნიკურ-ეკონომიკური, ზონალურ-დიფერენცირებული პარამეტრები.

დადგინდება აგროტურიზმის პროფილის ფორმირებათა ფუნქციონირების ეკონომიკური და სოციალური უკუგების ოპტიმიზირებული დონეები;

შეიქმნება საქართველოში აგროტურიზმის სისტემური მოდელი და მისი მენეჯმენტის ავტომატიზებული, ტექნოლოგიური ციკლი, სხვადასხვა დონეზე;

შემუშავდება აგროტურიზმის განვითარების ეკონომიკური მექანიზმი და ინსტიტუციონალური სისტემა (ფინანსური ბერკეტები და საბანკო ურთიერთობები, ფულად-საკრედიტო ურთიერთობები, საგადასახადო მექანიზმი, ფასები და ფასწარმოქმნა, საგარეო კავშირები, შრომითი ურთიერთობები და შრომის ბაზარი, ინოვაციური ფაქტორების გაუმჯობესება და გამოყენებითი რეგულირებაძ;

შეიქმნება ელექტრონული ვიზიტის პროექტი და შემუშავდება მისი მართვისა და რეგულირების მექანიზმი;

განისაზღვრება ხალხური შემოქმედებითი ხელოსნობის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები აგროტურიზმის საერთო სისტემაში და ამ მიზნით დამხმარე-შეთანაწყობილი სტრუქტურული ფორმირებების ფუნქციონირების ეკონომიკური პარამეტრები;

განისაზღვრება სტრატეგიული კომუნიკაციები აგროტურიზმის სფეროში და მისი გადაადგილების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები;

დამუშავდება აგროტურიზმის რეგიონული ატლასი;

შედგება აგროტურიზმისათვის კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის რეალიზაციაც მოხდება აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტში;

შეიქმნება აგროტურიზმის სისტემური მონაცემთა ბანკი (ბაზაძ და მისი ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემა, სახელმწიფოებრივ დონეზე.

ყველა ამ საკითხის შესწავლა და დამუშავება ქართველ აგრარიკოს ეკონომისტთა მოვალეობაა და მათ დიდ ჯაფასა და ინტენსიურ საქმიანობას მოითხოვს, რის შედეგადაც შესამჩნევად ამაღლდება საქართველოს ისედაც წონადი გეოპოლიტიკური ფუნქცია და როლი მსოფლიო თანამეგობრობაში. ყოველივე ეს თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების შემადგენელი ელემენტი იქნება.



**ომარ ქეშელაშვილი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე**

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

**„დაარქვი ამას ბავშვური კომპლექსი, მცირე ერის თვითდამტკიცების მცდელობა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მართლაც მნიშვნელოვანია, რომ რუსეთი ჩვენ გველაპარაკებოდეს, როგორც „დიდს“, ტოლი ტოლს“**



## ინფორმაცია

### ყველა ინფორმაცია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე

სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძემ მედიის წარმომადგენლებს ახლად შექმნილი უწყების საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები და დასახული გეგმები გააცნო.

ახალი აპარატის შექმნა იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფო საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის განმტკიცების ინიციატივით გამოვიდა. ჩვენი თანამემამულეები მსოფლიო 50-ზე მეტ ქვეყანაში ცხოვრობენ, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იულონ გაგოშიძემ და აღნიშნა, რომ საქართველოს დიასპორასთან განათლების, კულტურის, ეკონომიკის და სხვა სფეროებში მჭიდრო კავშირი ექნება.

როგორც იულონ გაგოშიძემ განაცხადა, ქართულ დიასპორასთან მჭიდრო კავშირის შესახებ გადაწყვეტილებებს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან არსებული საკოორდინაციო საბჭო მიიღებს, რომელშიც უმთავრესად მინისტრების მოადგილეები გაერთიანდებიან.

უახლოეს მომავალში შეიქმნება დიასპორის ფონდი, რომელიც სხვადასხვა დიასპორის მატერიალურ დახმარებაზე იზრუნებს, შეიქმნება დიასპორის ფონდი, რომელიც სხვადასხვა დიასპორის მატერიალურ დახმარებაზე იზრუნებს. თავად დიასპორები გადაწყვეტენ, რომელი პრიორიტეტული საკითხების მოგვარებაზე დაიხარჯება ფონდის თანხა. ფონდის თავმჯდომარესაც დიასპორები დაასახელებენ, – განაცხადა გაგოშიძემ. დიასპორის ფონდის საქმიანობას საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივი საბჭო გააკონტროლებს, რომელშიც საზოგადოების, საპატრიარქოს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები გაერთიანდებიან.

### იულონ გაგოშიძის შტაბბინა

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შენობაში, თამარაშვილის ქ. 15 ა-ში განთავსდება. ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა

როგორც გაგოშიძემ განმარტა. აპარატში 22 თანამშრომელი იმუშავებს, რომლებიც კონკურსის წესით შეირჩევიან.

ახლად შექმნილი უწყებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 625 ათასი ლარი გამოიყო. ამასტანავე, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს მთლიანობაში სარეზერვო ფონდიდან 57 ათასი ლარი გამოეყო.

ჯი-ეიჩ-ენი

## სხვა გაზეთიდან

*დარია ასლამოვა რუსეთული გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდას“ წამყვანი ჟურნალისტია, სპეციალური კორესპონდენტი. ამ მამაც ახალგაზრდა ქალს რედაქციის დავალებით მსოფლიოს არაერთი ცხელი ზონა თუ წერტილი აქვს მოვლილი (ერაყი, ავღანეთი, ბასკეთი, კოსოვო, კუბა და ასე შემდეგ) და მივლინებიდან დაბრუნებული ვრცელ ნარკვევებს აქვეყნებს ხოლმე რამდენიმე ნომერში გაგრძელებებითურთ.*

*აგერ ახლახან დარიამ თბილისშიც ჩამოაკითხა ზამთარს ჩვენი მღელვარებისა, შეხვდა აქაურ უბრალო მკვიდრებსაც, პოლიტიკოსებსაც, ესაუბრა უცხოელებსაც და თავისი შთაბეჭდილებები (სხვისიც!) დაუფარავად გადმოსცა გაზეთის ფურცლებზე. გთავაზობთ რამდენიმე საგულისხმო ფრაგმენტს „კომსომოლკას“ პუბლიკაციიდან.*

# როგორ მოვიგოთ ერთი ბოთლი მშვირი კონიაკი

**ჩემი ერთადერთი მეზობელი პატარა თბილისურ სასტუმროში გახლავთ იტალიელი საქმოსანი რონალდი. ყოველ დილით ჩვენ გაყინულ სასადილოში ვსაუბრობთ პალტოებითა და შარფებით (რონალდი კი ხელთათმანებითაც!) მსხდარნი. ვსაუბრობთ და ეგრევე დილიდანვე ვთბებით არყით (ქართველები, როგორც განსაკუთრებული ადამიანური ქვესახეობა, სიცივისადმი უგრძნობლები არიან და ყველა ჩემს დაჩივლებაზე უცვლელად მიპასუხებენ: „ეგ იმიტომ, რომ შენ, დაშა, მარტო გძინავს. ჰოდა, იყინებით კიდევაც ღამღამობით“...!).**

– საქართველოში ყოველთვიურად ჩამოვდივარ უკვე რვა წელია, – მიამბობს იტალიელი და თან დალმეჭით გადაჰკრავს დილით სირჩა ჭაჭას. – ქართველ მეღვინეებთან ყველა პროვინციაში ვმუშაობ და ჩინებულად ვიცნობ ადგილობრივ ცხოვრებას. კარგი, მაგრამ მიამიტი ხალხია. ეგენი ფსონს იმ ცხენზე არ ჩადიან, რომელზეც საჭიროა. რუსეთი უყვართ, მაგრამ აშინებთ კიდეც. ევროპა და ამერიკა სრულებით არ იციან, მაგრამ **ნატოსი** ისე სწამთ, როგორც ზეციური საუფლოსი. გეგონება, **ნატოში** ვინმე ელოდებოდეთ. ევროპულ კულუარებში გულახდილად ამბობენ: „ალიანსში საქართველოს არავინ არ მიიღებს. ვის რად უნდა ქვეყანა ორი კონფლიქტური კერით – აფხაზეთითა და ოსეთით? და კიდევ, დამატებით, რუსეთის მშვიდობისმყოფელებით? **ნატოს** წესდების მე-5 მუხლი ალიანსის ყველა წევრს ავალდებულებს თავისი მოკავშირეების ტერიტორიული მთლიანობის დაცვას იარაღით ხელში. ეს კი რას ნიშნავს? საქართველო თუ **ნატოში** კონფლიქტების დარეგულირებამდე შევა, – ეს რუსეთის პოტენციური ომია ევროპასთან. რუსეთელი მშვიდობისმყოფელები მხოლოდ ფორმას შეიცვლიან და „სამშობლოს დამცველებად“ იქცევიან, რამდენადაც აფხაზეთი სავსეა „რუსეთის მოქალაქეებით“. ევროპას ცეცხლივით ეშინია **ნატოში** საქართველოს შესვლისა და ყოველნაირად გააჭიანურებს იმ გადაწყვეტილებას, რომელსაც ლობირებას ამერიკელები უწევენ. იმათ კი ფეხებზე ჰკიდიათ და ურჩევნიათ კიდევაც, თუ ევროპელებს აღმოსავლეთით მიწა აეწვებათ ფეხქვეშ. მორჩილი, ილაჯგაწყვეტილი ნატოური ევროპა უმართავი კოსოვოთი და აფხაზეთით. ეს ხომ ამერიკული ოცნებააა! დაუმატე ამას საქართველოს ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობა, რომლის გამოყენება ამერიკელებს ირანის წინააღმდეგაც შეუძლიათ და რუსეთის წინააღმდეგაც!

მისმინე, მე **თქვენი** არა ვარ! **მე** იმ, მეორე მხრიდან ვარ! მაგრამ. ევროპელი ვარ. და მარტო ჩემთვის კი არ არის აშკარა, რომ საქართველოში ევროპელთა და ამერიკელთა ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევიან. პატარა საქართველოსათვის ხომ სხვა გამოსავალი არ არის, თუ არა რუსეთთან მეგობრობა. აბა წარმოიდგინეთ, რომ მექსიკას, სულაც არაპატარა ქვეყანას, განეცხადებინა, აშშ არ მაინტერესებსო, მეგობრები სხვა კონტინენტზე გვყავსო. უაზრობააა! როგორ შეუძლია სუსტ ქვეყანას ისეთი იერის მიღება, თითქოს არანაირად არაა დამოკიდებული მძლავრი მეზობლისაგან? არარეალისტურია.

არჩევნები? რა არჩევნები! არავის არ ეეჭვება, რომ საქმე სუფთად არ არის, ალკოჰოლით გამობრუჟულ საერთაშორისო დამკვირვებლებსაც კი. მაგრამ სააკაშვილმა გენიალური სვლა გააკეთა, იმ სიტუაციაში ერთადერთი სწორი სვლა. ნოემბრის მღელვარებები რომ დაიწყო, მეგობრებთან ერთად ბარში ვიჯექი, სადაც ნაძლევი დავდე ერთ ბოთლ ძალიან ძვირ კონიაკზე: „თუ სააკაშვილი სულელი არ არის, დაუყოვნებლივ დანიშნავს არჩევნებს, სანამ ოპოზიცია ძალებს იკრებს და გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. სააკაშვილი გაიმარჯვებს, 52-53 პროცენტს მოაგროვებს, მეტს ვერა“. ასეთ სიტუაციაში იდეალური ციფრია. ესაოდა, არჩევნები პატიოსანია და გამარჯვება ძლივს დავითრიეო.

ნაძლევი მოვიგე. საიდუმლო როდია, რომ სააკაშვილი არ უყვართ. თელავში ჩემი მეგობარი ქალი ცხოვრობს. ხელფასი ათი დოლარი აქვს, ელექტრობის გადასახადი კი ზამთარში, როცა მოსახლეობა გამათბობლებს ჩართავს ხოლმე, თვეში ას დოლარზე ნაკლები არ არის. ეს არის ცხოვრება? არადა, სააკაშვილი უალტერნატივოა. ახლა ის სხვანაირია – დამყოლი, ხავერდოვანი. და რუსეთს გასცქერის, – ამთავრებს გრძელ მონოლოგს როლანდო.

* * *

**ახალი საქართველო დილიდან იკავებს რიგებს რესტორნებში (!), მაგრამ მეეზოვეებს ფულს არ უხდიან. ახალი საქართველო ეკონომიკას აკეთებს გათბობაზე, მაგრამ მდიდრულ ავტომობილებს ყიდულობს, დიდძალ ფულს აბნევს ძვირადღირებულ ამუნაციაზე, ჯიპებსა და მეფურ ულუფებზე პროფესიული არმიის ჯარისკაცთათვის, ხოლო გამათხოვრებულ მოხუცებს გროშებიან ვაუჩერებს ურიგებს გაზისა და ელექტრობის საფასურისათვის.** ახალი საქართველო დასასვენებლად დადის აჭარაში (ბათუმში!) და აცრემლებული მღერის სევდიან სიმღერებს მშვენიერ, დაკარგულ აფხაზეთზე. ახალი საქართველო სწავლობს რუსულ და ინგლისურ ენებს, ოცნებობს რუსეთის ბაზარზე გასვლაზე და ევროპაში ნატოში შესვლა. დიდებულ ბუბა კიკაბიძეს როცა ჰკითხეს, ნატოზე რას ფიქრობო, უპასუხა: **ნატო!** რა ლამაზი ქალური სახელია!“

* * *

**დავით უსუფაშვილი, რესპუბლიკური პარტიის ლიდერი და ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციონერი, ისე გამოიყურება, როგორც ტიპიური ქართველი ინტელიგენტი. ეგ კია, რომ ნებისმიერი ზრდილობიანი ქართველის „დაქოქვა“ ნახევარბრუნით შეიძლება, თუ აფხაზეთზე წამოუწყებ ლაპარაკს.**

– რუსეთმა ხელები უნდა დაიმოკლოს მეზობელი სახელმწიფოს მიმართ! – მრისხანედ მეუბნება ის. – მსოფლიო თანასაზოგადოება ამ საკითხში საქართველოს მხარეზეა. ერთი ვიკითხოთ, რატომ უჭერს რუსეთი მხარს აფხაზეთს? სიკეთით მოსდის? გულმოწყალებით? არა, უჭერს იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ მტაცებლების აზროვნება, ოღონდ ასეთი ფანდები XXI საუკუნეში არ გადის. ჩვენ ვესწრაფვით **ნატოსაკენ,** ვინაიდან გვსურს, რომ ცივილიზებული საზოგადოების ნაწილი ვიყოთ.

– რუსეთში რა, ცივილიზაცია არ არის?

– არა! რუსეთის ერთადერთი ბერკეტი ძალაა და არცროდის არ შემოგითავაზებიათ არაფერი გონივრული, შანტაჟის გარდა. „მოგცემთ აფხაზეთსა და ოსეთს, თუ ჩვენთვის მეორე ბელორუსი ან სომხეთი იქნებითო. ჩვენ კი არ გვინდა ვიყოთ, როგორც სომხეთი. რუსეთს თუ იმის გაგონება სურს, რომ საქართველო მისკენ იყურება და არა ევროპის მხარეს, ეს არ იქნება. არც ერთი მთავრობის დროს არ იქნება.

– მაგრამ ეს ხომ გეოპოლიტიკური სისულელეა!

– რუსეთმა ორჯერ გადაგვყლაპა – XIX და XX საუკუნეებში.

– კარგი ერთი! – აღვშფოთდი მე. – რა გეშველებოდათ უჩვენოდ, როცა ნაწილებად გგლეჯდნენ სპარსეთი და თურქეთი. თქვენ არ იყავით, დახმარება რომ გვთხოვეთ? აჭარაც მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ომის წყალობით მიიღო საქართველომ!

– მაინც რატომ იზრუნეთ საწყალ ქართველებზე? მხოლოდ იმიტომ, რომ გაგეფართოებინათ თქვენი იმპერია!

– გქონდათ განა არჩევანი? რომ არა რუსეთი, თქვენ ახლა არც გექნებოდათ საკუთარი სახელმწიფო და იქნებოდით თურქეთის დანამატი. რაღაც ქურთისტანის მსგავსი.

– ეს თქვენი განსასჯელი როდია! შეგვეშვით და თქვენ დაინახავთ ძლიერ, აყვავებულ საქართველოს!

კიდევ ერთი წუთი და ჩვენ ერთმანეთს თვალებს დავთხრით...

* * *

**კონფლიქტის დარგში ექსმინისტრი, აწ უკვე საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე კატეგორიულად მიცხადებს:**

– ჩვენ გვინდა, რომ საქართველოსთან ურთიერთობებში რუსეთი სამ პრინციპს სცემდეს პატივს: ჩვენს სუვერენიტეტს, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობასა და თავისუფალი არჩევანის ჩვენს უფლებას. სულ ახლახან ერთ თოქშოუში ვმონაწილეობდი, სადაც პირდაპირ მოგვახალეს: „კავკასიაში სიმშვიდის მხოლოდ ერთი პერიოდი იყო, – როცა რუსეთი რეგიონში დომინირებდა. სტაბილურობა თუ გვსურს, რუსეთი უნდა გახდეს დომინირების ქვეყანა“. ასეთი მიდგომისას ჩვენ გაგვიჭირდება კეთილმეზობლური ურთიერთობების აწყობა.

– თუ რუსეთი საქართველოს დაეხმარება აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, შეხვალთ თუ არა თქვენ **ნატოში?**

– **ნატოში** ნებისმიერ შემთხვევაში შევალთ, იმისგან დამოუკიდებლად, მოისურვებს რუსეთი ჩვენს დახმარებას თუ არა.

* * *

**ჩვენ შეგვიძლია ქილიკი პატარა, მაგრამ ამაყი ხალხის სისუსტეებზე, მაგრამ დეკორის დაცვა საგარეო პოლიტიკაში ქართველთათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თამადის სიტყვები სუფრაზე.**

„დაარქვი ამას ბავშვური კომპლექსი, მცირე ერის თვითდამტკიცების მცდელობა, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, **მართლაც** მნიშვნელოვანია, რომ რუსეთი ჩვენ გველაპარაკებოდეს, როგორც „დიდს“, ტოლი ტოლს“, – მეუბნება ჩემი კარგი ნაცნობი, ბატონი კონსტანტინე. – რუსეთი ჯერ კიდევ გვაღელვებს, გვენატრება. ჩვენს თავს ვგულისხმობ, ექს-საბჭოურ თაობას. ჩემს ქალიშვილს კი, რომში, პარიზში, ამერიკაში ნამყოფს, არასოდეს არ უნახავს კრემლი და ტრეტიაკოვის გალერეა. იცით კი, რატომ? რუსეთში არ დაფრინავენ თვითმფრინავები და, რაც მთავარია, არ იძლევიან ვიზებს. ჩემი ქალიშვილი რუსულს საბავშვო ბაღში სწავლობდა, მერე ძვირ კერძო გაკვეთილებზე დადიოდა, თუმცა ახლა ვერავისთან ვერ ლაპარაკობს. ეს დასანანია. რუსეთი კარგავს ქართველთა ახალ თაობას, რომელმაც ის სრულებით არ იცის. ეგებ არც არასდროს ეცოდინება...

მოამზადა
**თამაზ ებანოიძე**

№ 29. პარასკევი. 15 თებერვალი. 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● პატარკაციშვილის პრობლემები მოსკოვში დაიწყო მისი როგორც ბორის ბერეზოვსკის ბიზნეს პარტნიორის საქმიანობასთან დაკავშირებით



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## ბადრი პატარკაციშვილს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, როგორც რუსეთის, ისე საქართველოს ხელისუფლებასთან

როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ბადრი პატარკაციშვილს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მაღალ ეშელონებში. ორივე შემთხვევაში ძალაუფლებასთან მისი სიახლოვე სკანდალით დასრულდა. ორივე ქვეყანაში მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და გამოიცა დადგენილება მისი დაპატიმრების შესახებ.

მაგრამ, რომც ვივარაუდოთ, რომ ვინმეს სურდა რუსი ბიზნესმენისა და საქართველოს უმდიდრესი მოქალაქის სიკვდილი, ორი სახელმწიფოს მმართველ ელიტებს მისი დაღუპვის irგვლივ ნებისმიერი სპეკულაცია და იდუმალება ხელს არ აძლევს. თუმცა, სულ უფრო და უფრო მეტი კითხვა ჩნდება.

პატარკაციშვილის პრობლემები მოსკოვში დაიწყო მისი როგორც ბორის ბერეზოვსკის ბიზნეს პარტნიორის საქმიანობასთან დაკავშირებით. 2001 წლის ივნისში რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ბიზნესმენს ბრალად დასდო „აეროფლოტის" გენერალური დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილის ნიკოლაი გლუშკოვის პატიმრობიდან გაქცევის ორგანიზაცია. ამ საქმესთან დაკავშირებით მაშინ დააპატიმრეს სამი პიროვნება, მათ შორის ანდრეი ლუგოვოი, რომელიც ამჟამად კი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და ალექსანდრე ლიტვინენკოს სიკვდილის შესახებ საქმის მთავარი ფიგურანტია.

2002 წლის ოქტომბერში პატარკაციშვილს კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს – „ავტოვაზის" მანქანების გატაცების შესახებ საქმის გამო. პატარკაციშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა, მაგრამ მოსკოვმა მის გადაცემას ვერ მიაღწია. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიზნესმენი თავისუფლად გადაადგილდებოდა საქართველოს, დიდ ბრიტანეთსა და ისრაელს შორის.

2006 წლის თებერვალში ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ პატარკაციშვილს მიჰყიდა ყველა აქტივი მათ ერთობლივ ბიზნესში. ყოფილი რუსი ოლიგარქი ამას იმით ხსნიდა, რომ „არ ჰქონდა უფლება რისკი შეექმნა" პატარკაციშვილის ბიზნესისათვის. სწორედ მაშინ ბერეზოვსკიმ ინტერფაქსს განუცხადა, რომ „ბადრი ყოველთვის ეწეოდა ბიზნესს და არასოდეს ყოფილა ჩაბმული პოლიტიკაში".

პატარკაციშვილის ყველაზე თვალსაჩინო შენაძენი გახდა საგამომცემლო სახლი „კომერსანტი", რომელიც ნახევარი წლის შემდეგ ალიშერ უსმანოვს მიჰყიდა. რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში უსმანოვმა აღნიშნა, რომ „კომერსანტისთვის" 200 მილიონი დოლარი გადაიხადა. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, რომელიც ეუთომ არსებითად უკვე წინასწარ უპატიოსნოდ მონათლა, კრემლს ყველაზე ნაკლებად სჭირდება, რომ პატარკაციშვილი რუსეთთან ასოცირდებოდეს. თუმცა პატარკაციშვილის გარდაცვალება დასავლეთის საზოგადოებრივ აზრში თავისთავად ასოცირდება მის რუსეთთან დაკავშირებულ წარსულთან და ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობასთან. მაგალითად, გაზეთმა „დეილ-მეილმა" გამოაქვეყნა სტატია ასეთი სათაურით „მილიარდერის და პუტინის მტრის სიკვდილი პოლიციას საეჭვოდ მიაჩნია". თუ ბრიტანეთ-რუსეთის რთულ ურთიერთობას გავითვალისწინებთ, ბრიტანეთის ტერიტორიაზე პიროვნების, თუნდაც არაპირდაპირ რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებულის, სიკვდილი ლონდონში მეტად მტკივნეულად აღიქმება. დასავლელ ობივატელებს ალბათ პოლიციის ის განცხადება თუ დაამშვიდებს, რომ ბიზნესმენის სიკვდილის ადგილას რადიაციის კვალი არ აღმოჩნდა.

პატარკაციშვილი, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოში „ვარდების რევოლუციას", პირველ ხანებში მშვიდად თანამშრომლობდა პრეზიდენტ სააკაშვილთან. საქართველოში ბიზნესმენის პრობლემების შესახებ 2007 წლის გაზაფხულზე გახდა ცნობილი. მაშინ ცხელ გულზე მან ისიც კი განაცხადა, რომ სამშობლოში ყოველგვარ საქმიანობას წყვეტს. ნოემბერში პატარკაციშვილის წინააღმდეგ პირველი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობისათვის მოწოდებებთან დაკავშირებით. თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია თავისი კანდიდატურა წაეყენებინა საპრეზიდენტო არჩევნებში. ბიზნესმენმა მესამე ადგილი დაიკავა და მოკრძალებული შვიდი პროცენტი დააგროვა. პატარკაციშვილმა ქვეყნის ხელისუფლებას არჩევნების შედეგების ფალსიფიკაცია დასდო ბრალად და დარწმუნებით განაცხადა, რომ უახლოეს ხანში საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლებოდა.

უკვე არჩევნების შემდეგ მის წინააღმდეგ ახალი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ბევრად უფრო სერიოზული ბრალდებებით: ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულება, პოლიტიკურ თანამდებობის პირზე თავდასხმისა და ტერორისტული აქტის მომზადება. 16 იანვარს საქართველოს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ბიზნესმენის ორი თვით დაპატიმრების შესახებ.

დეკემბერში პრესასა და ინტერნეტში გაჩნდა ორი პიროვნების საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ერთ-ერთი მეორეს ეკითხება, თუ რამდენად შესაძლებელია პატარკაციშვილის ფიზიკური განადგურება. გაზეთმა „სანდი ტაიმსმა" განაცხადა, რომ საუბრის ერთ-ერთი მონაწილის ხმა ეკუთვნის საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომელს, მეორე კი ჩეჩენი ბოევიკების ლიდერს. ხმის დონის მიხედვით საუბარი სწორედ მან ჩაიწერა და როგორც გაზეთი ამტკიცებს, შემდგომში თავად გადასცა ფირი პატარკაციშვილს. ამ საუბრის გამოქვეყნების შემდეგ პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია და ამიტომ მრავალრიცხოვანი დაცვა ჰყავს.

მიუხედავად იმ ვარაუდისა, რომ ერთ-ერთი მოსაუბრის ხმა სკანდალურ ჩანაწერზე საქართველოს ძალოვანი სამინისტროს თანამშრომელს ეკუთვნის და მოკლედ არის ნახსენები, რომ გადაწყვეტილება საკმაოდ მაღალ დონეზეა მიღებული, საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც სერიოზული შიდა პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას ცდილობს, ახლა სკანდალი სულაც არ სჭირდება. მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ოფიციალურად მიუსამძიმრა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს, თავისი ოპონენტის იდუმალებით მოცული სიკვდილი შეიძლება დიდ პოლიტიკურ ქულებად დაუჯდეს. 7 ნოემბერს თბილისში ოპოზიციის მიტინგის დარბევამ, ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის საქმემ, ოპოზიციური არხების მაუწყებლობის შეჩერებამ და სხვა მოვლენებმა საკმაოდ შეულახა მას დასავლური ტიპის დემოკრატიისათვის მებრძოლის იმიჯი.

თუ პოლიტიკური მკვლელობის თემა, რაც უკვე წამოაყენა ზოგიერთმა ქართველმა ოპოზიციონერმა (მაგალითად, ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმაძ განვითარებას ჰპოვებს, ყველაზე მეტად სწორედ პრეზიდენტი წააგებს.

BBC RUSSIAN.com

## ლონდონში გარდაიცვალა პუტინის მტერი

12 თებერვალს სურეის საგრაფოში ლეზერჰედში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ოპოზიციაში ედგა ვლადიმერ პუტინს. ეს რუსი მილიარდერი, რომელიც მუდმივად დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდა, შიშობდა, რომ მოკლავდნენ. გამოძიებას აწარმოებს სურეის პოლიცია, რომელიც მოცემულ მომენტში მის სიკვდილს უცნაურ ვითარებაში გარდაცვალებას უწოდებს. წინასწარი ვერსიით, იგი შესაძლოა გულის უკმარისობით გარდაიცვალა. მოხდება მისი გვამის გაკვეთა. ის რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ოპონენტი იყო, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, ყველაზე დიდი საშიშროება მას საქართველოდან ემუქრებოდა.

საქართველოში პატარკაციშვილს ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი სახავდა სახელმწიფო გადატრიალების გეგმებს მას





მერე, რაც წარუმატებლად ებრძოდა არჩევნებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. პატარკაციშვილი ბორის ბერეზოვსკის – ასევე პუტინის კრიტიკოსი ოლიგარქის ახლო მეგობარი იყო. დღისით სითიში შეხვედრისას, რომელმაც ოთხ საათს გასტანა, ოლიგარქი თავს კარგად გრძნობდა. იგი შეხვდა ბერეზოვსკის და კიდევ ორ დევნილ მაგნატს – ნიკოლაი გლუშკოვსა და იული დუბოვს. მოსკოვს ოთხივეზე ძებნა აქვს გამოცხადებული.

დეკემბერში პატარკაციშვილმა თქვა, რომ 120 მცველი ჰყავს, თუმცა თავს უსაფრთხოდ არსად გრძნობდა. ცოტა ხნის წინათ პატარკაციშვილი ამტკიცებდა, რომ ხელში ჩაუვარდა აუდიოჩანაწერი, რომელშიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე ჩეჩენ საველე მეთაურს ლონდონში მის ლიკვიდაციას სთხოვს. პატარკაციშვილის პრეს-მდივანმა ლორდმა ბელმა, რომელიც ასევე ესწრებოდა სითიში შეხვედრას, განაცხადა: „ეს სიკვდილი გამოსაძიებელია. ამას წინათ მან პოლიციაში განაცხადა, რომ თავდასხმის საშიშროება ემუქრებოდა".

„შეხვედრაზე ის თავს კარგად გრძნობდა. რაღაც მომენტში თქვა, ოთახში ცხელაო და სუფთა ჰაერზე გავიდა, – დასძინმა ლორდმა ბელმა. – ვიცნობ რა ბადრის, ვფიქრობ, რომ სიგარეტი მოწია. რომ დაბრუნდა, მშვენივრად გამოიყურებოდა, თავს კარგად და ენერგიულად გრძნობდა". ლორდ ბელის თქმით, პატარკაციშვილი მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა, მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ.

მიჩნეულია, რომ პატარკაციშვილი საქართველოში ნოემბრის ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების მამოძრავებელი ძალა იყო, მას ბრალი წაუყენეს მთავრობის დამხობის მიზნით შეთქმულების მოწყობაში. ამ ბრალდებებს იგი უარყოფდა, თუმცა აღიარა, რომ პოლიციას დიდძალი თანხა შესთავაზა, რათა იგი დემონსტრანტების მხარეზე გადასულიყო. საპროტესტო აქციები პოლიციამ დაარბია. პატარკაციშვილმა საქართველო ნოემბერში დატოვა და ხან დიდ ბრიტანეთში იმყოფებოდა, ხან ისრაელში. ქონება მან 90-იან წლებში რუსეთში სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა პრივატიზებისას დააგროვა. ოლიგარქმა ყოფილი გენერალური პროკურორი ლორდ გოლდსმიტი და სხვა იურისტები მას შემდეგ დაიქირავა, რაც, მისი თქმით, ნახა ფირი, რომელიც ადასტურებდა, რომ ვიღაც ქილერმა მისი მოკვლის ინსტრუქცია მიიღო. გარდა ამისა, ექვსი-რვა კვირის წინ პატარკაციშვილი ამტკიცებდა, რომ ლონდონში საქართველოდან ჩამოვიდა ოთხი მოქალაქისგან შემდგარი ჯგუფი, რათა მის წინააღმდეგ რამე მოეწყოთ.

ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ შეძრწუნებულია თავისი მეგობრის სიკვდილით, რომელსაც უთუოდ შეადარებენ პუტინის მტრის ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობას.

Daily Mail

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● გენერალურ პროკურატურას არაერთგზის უცდია ბატონ პატარკაციშვილის საზღვარგარეთ დაპატიმრება, მაგრამ წარუმატებლად

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მუდმივად ძებნილი

რუსეთში ბადრი პატარკაციშვილი იძებნებოდა როგორც ორი სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტი. ეს საქმეებია: 2001 წელს „აეროფლოტის“ ერთ-ერთი ყოფილი ხელმძღვანელის ნიკოლაი გლუშკოვის პატიმრობიდან გაქცევის ორგანიზაცია და განსაკუთრებით დიდი ოდენობის სახსრებთან დაკავშირებული თაღლითობა. ორივე ეს გამოძიება უშუალოდ უკავშირდება ბორის ბერეზოვსკის, რომელიც მთავარ ბრალდებულად ფიგურირებს. შარშან ნოემბერში მოსკოვის საველოვის რაიონულმა სასამართლომ ბერეზოვსკი დაუსწრებლად გაასამართლა და 6 წლის პატიმრობა მიუსაჯა.



ნიკოლაი გლუშკოვის გაქცევის შესახებ სისხლის სამართლის საქმე გენერალურმა პროკურატურამ 2001 წლის გაზაფხულზე აღძრა. იმავე წლის ივნისში ოფიციალურად წაუყენეს ბრალი ბატონ პატარკაციშვილს, მაგრამ ვინაიდან იგი იმ მომენტში უკვე რუსეთში არ იმყოფებოდა, პროკურატურამ ბრალი დაუსწრებლად წაუყენა. ერთი თვის შემდეგ ბიზნესმენზე, რომელსაც იმხანად ტვ-6 ტელეკომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ძებნა გამოაცხადეს.

ამ საქმეს საფუძვლად დაედო 2001 წლის 11 აპრილს მოსკოვში 8 მარტის ქუჩაზე მეცნიერებათა აკადემიის ჰემატოლოგიურ ცენტრში მომხდარი ამბები. იმხანად მიმდინარეობდა „აეროფლოტის“ საქმის გამოძიება – საქმე ეხებოდა ბორის ბერეზოვსკის და კომპანიის მთელი რიგი მენეჯერების მიერ ავიაკომპანიის სახსრების დატაცებას. მათ შორის აღმოჩნდა ბატონი გლუშკოვიც. უკვე რუსეთიდან წასული ბერეზოვსკის გარდა საქმის ყველა ფიგურანტი დაპატიმრებული იყო. სისხლის ქრონიკული დაავადების გამწვავების გამო ნიკოლაი გლუშკოვი საავადმყოფოში გადაიყვანეს ბადრაგის თანხლებით. მაგრამ 11 აპრილს ღამის დაახლოებით 10 საათზე იგი უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა საავადმყოფოს ქიშკართან დააკავეს, როგორც გამოცხადდა, გაქცევის მცდელობისას. მასთან ერთად დააკავეს მისი მცველები ვლადიმერ სკოროპუპოვი და იგორ პროვიდუხინი. ოდნავ მოგვიანებით ამ ამბის გამო დაპატიმრებული აღმოჩნდა სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი ანდრეი ლუგოვოიც, რომელსაც მაშინ ტელეკომპანია ო-ერ-ტეს უშიშროების სამსახურის უფროსის პოსტი ეკავა (ახლა ბრიტანეთის პოლიცია მას 2006 წლის შემოდგომაზე უშიშროების ფედერალური სამსახურის გაქცეული თანამშრომლის ალექსანდრე ლიტვინენკოს მოწამვლის შესახებ საქმეში ძირითად ეჭვმიტანილად მიიჩნევსძ. გამოძიებამ ბრალი წაუყენა აგრეთვე საგამოძიებო იზოლატორის ორ მცველს, რომლებიც იმ ღამეს ბატონ გლუშკოვს იცავდნენ. გამოძიებამ დაასკვნა, რომ ბორის ბერეზოვსკიმ მოსკოვში მყოფ პატარკაციშვილს გლუშკოვის გაქცევის ორგანიზება სთხოვა. პატარკაციშვილმა დახმარებისათვის ანდრეი ლუგოვოის მიმართა. მან კი გაქცევის ორგანიზება მოაწყო. როგორც პროკურატურაში ამტკიცებდნენ, ბოროტგანმზრახველებს სურდათ ნიკოლაი გლუშკოვი საზღვარგარეთ გაეყვანათ. თავად გლუშკოვი და მისი ადვოკატი ამტკიცებენ, რომ არავითარი გაქცევის მცდელობა არ ყოფილა, ყველაფერი სპეცსამსახურების პროვოკაცია იყო იმ მიზნით, რომ არ დაეშვათ მისი გათავისუფლება.

ბადრი პატარკაციშვილის მეორე საქმე 2002 წლის შემოდგომაზე აღიძრა „ავტოვაზის“ სახსრების მითვისებასთან დაკავშირებით. ამ საქმეში ფიგურანტები ბადრი პატარკაციშვილის გარდა იყვნენ ბორის ბერეზოვსკი და იული დუბოვი. გენერალურ პროკურატურას არაერთგზის უცდია ბატონ პატარკაციშვილის საზღვარგარეთ დაპატიმრება, მაგრამ წარუმატებლად. ბიზნესმენს საქართველოს მოქალაქეობა ჰქონდა და ამ ქვეყნის ხელისუფლება მის გადაცემაზე უარს აცხადებდა.

როგორც გუშინ პროკურატურასთან არსებულ საგამოძიებო კომიტეტში განაცხადეს, რომელიც ახლა ყველა სისხლის სამართლის საქმეს აწარმოებს, ბატონ პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დახურვის შესახებ საკითხს განიხილავენ მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთიდან მიიღებენ ოფიციალურ დოკუმენტებს მისი სიკვდილის შესახებ.

ალექსეი გრიშინი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# მოზაიკა

შეერთებული შტატების სენატმა საბოლოოდ დაამტკიცა კანონპროექტი ამერიკის სპეცსამსახურების 2008 წლის ბიუჯეტის შესახებ, ამასთან დატოვა მასში თეთრი სახლისადმი მოთხოვნა წარმოადგინოს კონგრესში მონაცემები თავისი საიდუმლო პროგრამების შესახებ. საქმე ეხება საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა დამხობის პროგრამებს. სენატის წევრები პრეზიდენტის მხრიდან ვეტოს საშიშროებამაც კი არ შეაშინა.

* * *

ბეირუთის ერთ მოედანზე ოთხი საათის განსხვავებით გაიმართება ექს-პრემიერის რაფიკ ჰარირის და ტერორისტ იმად მუგნის ხსოვნის ცერემონიები. „ჰიზბალაჰი“ აცხადებს, რომ ტერორისტის დაკრძალვას ისრაელის მოქმედების წინააღმდეგ მასობრივ საპროტესტო აქციად გადააქცევს. მათი ლიდერი ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტერორისტი იყო იმათ შორის, ვისაც შეერთებული შტატებისა და ისრაელის სპეცსამსახურები ეძებენ. ჰარირის ხსოვნის მანიფესტაციის მონაწილენი მოითხოვენ, რაც შეიძლება სწრაფად გაიმართოს საპრეზიდენტო არჩევნები.



* * *

მექსიკელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სიყვარული ოთხ წელზე მეტ ხანს არ გრძელდება და „დროებით შეშლილობას“ წარმოადგენს. ანატომიური მიზეზების გამო სიყვარულისათვის დამახასიათებელი რეაქციები არ შეიძლება ოთხ წელზე მეტ ხანს გაგრძელდეს. ასეთია „სიყვარულის რესურსი“ ყველაზე რომანტიკულ შემთხვევებშიც კი, აცხადებს მკვლევარი ხეორხინა ფლორესი.

* * *

ნიუ-იორკში გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა კოსოვოს საკითხზე. შეხვედრის ინიციატორია სერბია. რუსეთმა მხარი დაუჭირა ბელგრადის ინიციატივას და ღონისძიების ყველა მონაწილის მაქსიმალური პასუხისმგებლობის იმედი აქვს.

* * *

ნიგერიაში საჰარის უდაბნოში ორი ახალი სახეობის მტაცებელი დინოზავრების გაქვავებული ნეშტია ნაპოვნი. ერთ-ერთი მათგანი ლეშით იკვებებოდა, მერე ცოცხალ არსებებზე ნადირობდა, ამტკიცებენ ამერიკელი პალეონტოლოგები, რომლებმაც კვლევა ჩაატარეს.



* * *

იაპონიაში წმინდა ვალენტინის დღეს შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითებს განუმარტავენ, რომ დაუშვებელია ადგილობრივი ქალებისადმი სექსუალური ძალადობა. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს იძულებით ლექციებზე აუხსნიან, კერძოდ, რომ ისინი ვალდებული არიან აღკვეთონ თავიანთი ამხანაგების არამართლზომიერი მოქმედება, უწინარეს ყოვლისა, სექსუალური დანაშაულის მცდელობა. ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ ორშაბათს ოკინავაზე დააპატიმრეს ამერიკელი სერჟანტი, რომელიც სკოლის მოსწავლის გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი.

* * *

ბელარუსის ავიაკომპანია „ბელავიას“ თვითმფრინავი ერევანში „ზვართნოცის“ საერთაშორისო აეროპორტში აფრენის დროს ჩამოვარდა. თვითმფრინავში მყოფი 18 მგზავრი და ეკიპაჟის სამი წევრი გადარჩა, საჭირო გახდა ოთხის ჰოსპიტალიზაცია.

* * *

ჩინეთის ხელისუფლება კრძალავს აუდიო და ვიდეოპროდუქციის გაყიდვას, რომელიც საშინელებათა ფილმების ჟანრს განეკუთვნება. როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესისა და ბეჭდვითი საქმის სახელმწიფო სამმართველოს განკარგულებაშია ნათქვამი, „ეს ზომა მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდების ფსიქოლოგიური განვითარების დაცვას“.

* * *

იაპონიაში ამჟამად დაახლოებით 84,2 ათასი განგსტერი მოქმედებს, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებში არიან გაერთიანებული. როგორც ქვეყნის პოლიციის მთავარი სამმართველო იტყობინება, იაპონიის დანაშაულებრივი სამყაროს წევრთა რაოდენობის აღრიცხვა 1958 წლიდან მიმდინარეობს.

* * *

ერაყში დახვრიტეს 9-კაციანი ოჯახი, რომლის კლანსაც ეკუთვნოდა სადამ ჰუსეინი. როგორც პოლიციაში განაცხადეს, ბოევიკები დილით ადრე შეიჭრნენ სახლში, ცეცხლი გაუხსნეს და დახოცეს ოჯახის უფროსი, მისი მეუღლე და 7 ვაჟიშვილი. დაღუპული ოჯახი სუნიტთა გავლენიან კლანს ეკუთვნოდა.




* * *

მოსმენა გაიმართა შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საკითხთა კომიტეტში, სადაც ნასას მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ „შეერთებული შტატები სიამოვნებით შეიძენს რუსეთის კოსმოსურ მომსახურებას და რომ რუსეთი საერთაშორისო კოსმოსური სადგურის შექმნის საქმეში შტატების პარტნიორია“. 2011 წლამდე პერიოდში ნასა რუსეთს 780 მილიონ დოლარს გადაუხდის საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე „სოიუზებით“ ასტრონავტების მიყვანისათვის.


## შპს „თბილმეტრომშენი“ თავის ბალანსზე რიცხული ჯართის რეალიზაციის მიზნით აცხადებს კონკურსს

**სხვადასხვა სახის ჯართი (მექანიზმების, მოწყობილობებისძ –114,0 ტონა.**

**მისამართი: ქ.თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა №13.**

**(შპს „თბილმეტრომშენის“ მომარაგების ბაზაძ.**

სხვადასხვა სახის 1 ტ საწყისი სარეალიზაციო ფასია 250 ლარი.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

განცხადების მიღების ვადა – განცხადების მიღება (დალუქულ პაკეტებშიძ მიმდინარეობს კონკურსის ჩატარების დღის ჩათვლით, კონკურსის ჩატარების დღემდე 10 საათიდან 17 საათამდე, ხოლო კონკურსის ჩატარების დღეს 10 საათიდან 14 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2008 წლის 6 მარტს 14 საათზე, ქ.თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, მე-5 სართული შპს „თბილმეტრომშენის“ ადმინისტრაციული შენობა.

**შპს „თბილმეტრომშენის“ საბანკო რეკვიზიტები:**

სს ბანკი რესპუბლიკა, „სადგურის ფილიალი ა/ა 600003605000555, ბანკის კოდი 220101759, საიდენტიფიკაციო 202886332.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია გამოსასყიდი თანხის რაოდენობა და გადახდის ვადა.

სარეალიზაციო ქონების და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „თბილმეტრომშენში“.

საკონტრაქტო ტელეფონი: 95-05-36.

**შპს „თბილმეტრომშენი“**


№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

• როგორც ადამიანი, რომლისთვისაც ლოცულობენ და თვით ადამიანიც, რომელიც თვითონ ლოცულობს, ხომ მთლიანად მიპყრობილია უფლისკენ და, ალბათ, ამას მივყავართ ორგანიზმში. ბევრი პროცესის ნორმალიზაციამდე, რაც ჩვენ კიდევ უნდა შევისწავლოთ



◉ რწმენა და ჯანმრთელობა

# „მამაო ჩვენო!" — სიცოცხლის განმახანგრძლივებელი და მკურნალი?

**ყოველ შემთხვევაში ასე მიიჩნიეს მეცნიერებმა ოჰაიოს (აშშ) უნივერსიტეტიდან და სანკტ-პეტერბურგიდან**

**მაინც რას ვთხოვთ ღმერთს, როცა ხატების წინ სანთლებს ვანთებთ?**

— დიდი ხნის სიცოცხლეს! როგორც ოჰაიოს უნივერსიტეტის დოქტორის დონ იუნგის გამოკვლევებმა ცხადჰყო, უფალი ამას შეისმენს. თვით სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფებსაც კი, თუკი მათ ნამდვილად სწამთ ღმერთი და გულითადად ლოცულობენ, ძალუძთ, თავიანთი სიკვდილი გადადონ რაღაც განსაზღვრულ, მათთვის დიდმნიშვნელოვან დრომდე.

მეცნიერი ამ დასკვნამდე მივიდა თავის შტატში სიკვდილიანობის მონაცემების ბაზაზე დაყრდნობით. მან გააანალიზა იმ 300 ათასი ადამიანის სამედიცინო რუკა, 1989-2000 წლების შუალედში რომ გარდაიცვალნენ. იუნგმა საფუძვლად აიღო სამი განსაკუთრებული თარიღი — შობა, ამერიკისთვის ტრადიციული შეწყალების დღე, პაციენტის დაბადების დღე და დააკვირდა, ხომ არ მცირდებოდა ამ დღეებში სიკვდილიანობა. შედეგები, რასაკვირველია, გადასარევი არ იყო, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი აღმოჩნდა: თითქოს 4 ათასმა მიცვალებულმა — თითქმის ერთ პროცენტზე მეტმა, რაღაც აუხსნელი გარემოებით შეძლო თავისი სიკვდილის სულ ცოტა ერთი დღით მაინც, დღესასწაულის შემდეგ გადადება. რაო, სიკვდილსაც აქვს დასვენების დღეები?!

ადამიანის ორგანიზმზე ლოცვის ზეგავლენის შესწავლა მეცნიერებმა ცოტა ხნის წინათ დაიწყეს. ადრე მღვდლების ბუტბუტი მათ არარაობად მიაჩნდათ. მაგრამ პირველივე მეცნიერულმა შედეგებმა გააოცეს თვით მოურჯულებელი ათეისტებიც კი.

გამოკვლევები მიმდინარეობდა ჩრდილო კაროლინის (აშშ) დარემის საჰერცოგო უნივერსიტეტსა და ადგილობრივ ჰოსპიტალში. მეცნიერებმა მიიწვიეს სხვადასხვა კონფესიის ბევრი მღვდელი და მონაზონი, რათა ელოცათ გულის სხვადასხვა დაავადებიანი 700 პაციენტისთვის. რამდენიმე დღის განმავლობაში ექიმები აკეთებდნენ ჩანაწერებს ამ ავადმყოფების მდგომარეობის შესახებ, ხოლო როცა ექსპერიმენტი დასრულდა, ყველა ჩანაწერი გადასცეს ექსპერტებს. მალე პროფესორმა მიტჩელ კრუშოფმა გამოაქვეყნა შედეგები. 500 პაციენტს ლოცვის წყალობით დააახლოებით 93 პროცენტით დაუჩქარდა გამოჯანმრთელების ტემპი.

— არ ვიცი, რისგან ხდება ეს, — თქვა პროფესორმა, — მაგრამ შემიძლია, ვიფიქრო, რომ გულის მუშაობაზე კეთილმყოფლურად მოქმედებს როგორც მღვდლების, ისე თვით ავადმყოფების კონცენტრაცია ღვთიურ სიტყვებზე. როგორც ადამიანი, რომლისთვისაც ლოცულობენ და თვით ადამიანიც, რომელიც თვითონ ლოცულობს, ხომ მთლიანად მიპყრობილია უფლისკენ და, ალბათ, ამას მივყავართ ორგანიზმში. ბევრი პროცესის ნორმალიზაციამდე, რაც ჩვენ კიდევ უნდა შევისწავლოთ.

მოგვიანებით კი გამოირკვა, რომ ლოცვა ხოცავს საშიშ ბაქტერიებს მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში კი არა, წყალშიც.



პეტერბურგელმა ინჟინერ-ელექტროფიზიკოსმა, საწარმოო და საზღვაო მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო-ბიოლოგიური ტექნოლოგიის ლაბორატორიიდან ანგელინა მასახოვსკაიამ „რუსეთის მართლმადიდებელი მეცნიერების" კავშირის წევრმა, ათი წელია, რომ სწავლობს ერთი შეხედვით არამეცნიერულ მოვლენას — პირჯვრის გადაწერა, ღვთის სიტყვის ძალასა და ნაკურთხი წყლის სამკურნალო თვისებებს, განაცხადა:

— შევამოწმე ლოცვის „მამაო ჩვენო!" და მართლმადიდებლური პირჯვრის ზემოქმედება პათოგენურ ბაქტერიებზე. გამოსაკვლევად სინჯები ავიღეთ სხვადასხვა წყალსატევებიდან: ჭებიდან, მდინარეებიდან, ტბებიდან, სადაც იყო ნაწლავების ჩხირები და ოქროსფერი სტაფილოკოკები. აღმოჩნდა, რომ „მამაო ჩვენოს" წაკითხვითა და ჯვრის გადასახვით საშიში ბაქტერიები თითქმის ასჯერ მცირდება. (გავიხსენოთ ნათლისღების დღესასწაულზე ჩვენში ტრადიციული წყალკურთხევაც!)

თუმცა ნამდვილი აღმოჩენა, ლოცვის ძალას რომ ამტკიცებს, მოახდინა სანკტ-პეტერბურგის ვ.ბეხტერევის სახელობის ფსიქონევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნეირო და ფსიქოფიზიოლოგიური და ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვალერი სლეზინმა.

— ბევრი ფსიქიატრისა და ნევროლოგისთვის ცნობილია რაციონალური თვალსაზრისით ძნელად ასახსნელი ფენომენი, როცა ლოცვის შემდეგ მსუბუქდება სულიერი მოშლილობა, ხოლო ავადმყოფები, განუკურნებლად რომ მიიჩნეოდნენ, ზოგჯერ გამოჯანმრთელდებიან ხოლმე, — მოგვითხრობს პროფესორი სლეზინი, — ჯერ კიდევ დიდი რუსი ფსიქიატრი ვლადიმერ ბეხტერევი ამბობდა თავის პაციენტებზე „ამან, დე, წამალი მიიღოს, აი, ეს კი, უმჯობესია, მღვდელთან წავიდეს". თუ რა მოსდის ტვინს ლოცვის დროს, ექსპერიმენტებმა აჩვენეს.

ექსპერიმენტისთვის მიიწვიეს მართლმადიდებელი მღვდლები და სემინარისტები, კათოლიკე ქსენძები, ისლამის მიმდევრები და ძენ-ბუდისტები, მედიტაციის ინდოელი ოსტატები. ყოველ მათგანს სთხოვეს, გულმოდგინედ ელოცათ. სანამ ისინი თავიანთ ლოცვებს ჩურჩულებდნენ, სპეციალისტები მათგან ელექტროენცეფალოგრამებს იღებდნენ, რათა განესაზღვრათ ტვინში მიმდინარე პროცესები.

აქამდე ცნობილი იყო ტვინის მუშაობის სამი ძირითადი ფაზა: სწრაფი ძილი, ნელი ძილი და ფხიზლობა. თითოეული ამ ფაზისთვის დამახასიათებელია ბიოდენების საკუთარი რიტმი. ექსპერიმენტის დროს კი გამოირკვა, რომ ლოცვის დროს თავის ტვინის ბიოდენების რიტმი იმდენად ნელდება, რომ შესაძლებელი ხდება ლაპარაკი ცნობიერების მეოთხე მდგომარეობაზე — „ლოცვით ფხიზლობაზე". ამ მდგომარეობაში ტვინი ფაქტობრივად გამოითიშება. წყდება აქტიური აზროვნებითი საქმიანობა და. როგორც პროფესორი სლეზინი ფიქრობს, თუმცა ვერ ამტკიცებს, იწყება ცნობიერების სხეულის მიღმა არსებობა.

როგორც სწავლული ექიმი აცხადებს, ფხიზლობის დროს მოზარდი ადამიანის თავის ტვინი აგენირირებს ბიოდენების ალფა და მეგა სისტემებს 8-დან 30 ჰერცამდე სიხშირით. ლოცვის დროს კი ბიოდენების რიტმი ქვეითდება რაღაც 3 ჰერც სიხშირემდე, რასაც „დელტა-რითმები" ჰქვია და მხოლოდ 2-3 თვის ბავშვებს გააჩნიათ. ნეიროფიზიოლოგების აზრით, მომლოცველები ადამიანებს თითქოსდა ბავშვობა უბრუნდებათ, თანაც ნეირო-ფიზიოლოგიურ მოვლენა შეიმჩნეოდა იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ლოცვას კითხულობდნენ გამოსაცდელები — მართლმადიდებლურს, კათოლიკურს თუ მუსლიმანურს.

პროფესორი სლეზინი აცხადებს, რომ მათ მიაჩნიათ, რომ ლოცვის დროს ირღვევა პათოლოგიური კავშირი ტვინის ნეირონებს შორის, იმიტომ რომ მლოცველი ადამიანი აღარ ფიქრობს ავადმყოფობაზე. ზოგჯერ ამას მივყავართ სასიკვდილოდ განწირულების სრულ გამოჯანმრთელებამდე. მეცნიერებამ იცის ონკოლოგიური გამოჯანმრთელების შემთხვევები, მაგრამ მათ გაცილებით გულმოდგინე შესწავლა სჭირდება. თუმცა უნდა გვწამდეს და ვილოცოთ ნამდვილად, ჭეშმარიტად, სულითა და გულით. არადა სამკურნალო ეფექტი არ იქნება!

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველას როდი სწამს ნეიროფიზიოლოგების მიგნებებისა. მას სერიოზული მოწინააღმდეგენიც ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია რობერტ ტოდ კეროლი, კალიფორნიის შტატის საკრამენტოს კოლეჯის ფილოსოფიის კათედრის გამგე, რომელსაც ყოველივე ეს უაზრო, ახირებული, თუმცა ძალზე მიმზიდველ წამოწყებად მიაჩნია. იგი თვლის, რომ ღმერთებს ჩვენ თვითონ ვიგონებთ ჩვენს წარმოსახვაში და მათ სრულქმნილებად მივიჩნევთ, მუდარით რომ მივმართავთ.

თუკი ღვთიურ ძალებს შეუძლიათ, თავიანთი ნებით შეცვალონ ბუნების კანონები, მაშინ მოწესრიგებულობა და კანონზომიერება, განცდებისა და გამოცდილების სამყაროს რომ ახასიათებს, იმ სამყაროს, რომლის გაგება და ჩაწვდომა მეცნიერები ცდილობენ, არარაობად იქცეოდა. ეს კი ხომ სრული აბსურდია.

**უცხოური პრესის მიხედვით**

◉ ჰიპოთეზა

# მომავლის ზოოლოგია

**მომავალში მოგზაურობა ფანტასტების საყვარელი ხერხია. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არა მარტო მათი — ასეთი მოგზაურობა წარმატებით განახორციელა ასევე ერთ-ერთმა უდიდესმა ინგლისელმა მკვლევარმა გეოლოგმა, აკადემიკოსმა დუგალ დიქსონმა, რომლის წიგნი „ადამიანის შემდეგ. მომავლის ზოოლოგია" ყველაზე მეტად სამეცნიერო ფანტასტიკას შეიძლება შევადაროთ. არადა, მოგონილი მასში თითქმის არაფერია, ვინაიდან ავტორი, მეცნიერულ კვლევათა შედეგებზე დაყრდნობით, დედამიწის ფაუნის ევოლუციას პროგნოზირებს იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე მიზეზით (ვთქვათ, შიდსის პანდემიის გამოძ კაცობრიობა შეწყვეტს არსებობას.**

მომავალში დუგალ დიქსონი „მხოლოდ" 50 მილიონი წლის წინ „იჭყიტება", რაც, გეოლოგიური საზომით, არცთუ დიდი დროა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ძუძუმწოვრებმა ინტენსიური განვითარება „სულ" 70 მილიონი წლის წინათ დაიწყეს, დედამიწის გეოლოგიური ასაკი კი 4,5-5 მილიარდი წელია. მიუხედავად ამისა, ერთი გეოლოგიური პერიოდის განმავლობაშიც კი, ავტორის აზრით, დედამიწის იერსახე მნიშვნელოვნად შეიცვლება. **შემცირდება ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეების აკვატორია; გიგანტური ყელის მეშვეობით ავსტრალია აზიას დაუკავშირდება, ხოლო მნიშვნელოვნად გაზრდილი ხმელეთის უზარმაზარ ტერიტორიებზე გაჩნდება ახალი, დღევანდელისგან დიდად განსხვავებული ფაუნა. მისი განმასხვავებელი ნიშნები იქნება მცირე და საშუალო ფორმები და არა მარტო ძუძუმწოვართა, არამედ ქვეწარმავალთა და ფრინველთა სახეობების რიცხვის მკვეთრი შემცირება**.

პირველ ყოვლისა, გადაშენდებიან შინაური ცხოველები, ვინაიდან ისინი იმდენად დამოკიდებულნი არიან ადამიანზე, რომ მის გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებენ. **კლიმატური კატაკლიზმების გამო გადაშენდებიან ბალახის მძოველი ცხოველები — სპილოები, აქლემები, ჟირაფები, მარტორქები, კენგურუები, ანტილოპები, ზებრები. მათ გადაშენებასთან ერთად კი განწირულები აღმოჩნდებიან მსხვილი მტაცებელი ცხოველები — ლომები, ვეფხვები, ავაზები, გეპარდები. ასეთივე ბედი ეწევათ პრიმატებს.**

ამდენად, იმის იმედი, რომ დროთა განმავლობაში დედამიწაზე მთელი ევოლუციური ციკლი, ანუ მაიმუნის გონიერ ადამიანად გადაქცევის პროცესი ხელახლა განმეორდება, დუგალ დიქსონის აზრით, ნაკლებად უნდა გვქონდეს.

**სამაგიეროდ, მთავარი მტრის — ადამიანის ასპარეზიდან გაქრობის შედეგად არნახულად გამრავლდებიან ვირთაგვები. ისინი ახლანდელი ძაღლების ზომებს მიაღწევენ და მათ მსგავსად ინადირებენ ორმეტრიან ბოცვერშველებზე,** ანუ ბოცვერების შორეულ შთამომავლებზე, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი მაღალი რეპროდუქციული თვისებების გამო მომავალში წყვილჩლიქოსანთა ადგილს დაიკავებენ:. თანაც, თავის გადარჩენის ინსტინქტით ნაკარნახევი ცხოვრების წესის წყალობით, ისინი ძალიან სწრაფად მორბენალი ცხოველები იქნებიან. **ზღარბები კი, მტრისგან თავის დასაცავად, ეკლებს მოძრავი ზეგამძლე ფირფიტებით შეიცვლიან, რომლებიც ხიფათის შემთხვევაში ერთ მთლიან ჯავშნად გადაიქცევა. უწყინარი ღამურები სახმელეთო ორმეტრიან საშინელებებად, ღამის ვამპირებად გადაიქცევიან, რომლებსაც საოცარი მგრძნობიაროების მქონე ლოკატორი ყურები და ფრთების მაგივრად იაგუარისნაირი საშინელ ბრჭყალებიანი თათები ექნებათ.**

„ცხადია, შეუძლებელია აბსოლუტური სიზუსტითა და ამომწურავი სრულყოფით ცხოველთა მთელი სამყაროს ევოლუციის შესაძლო პროცესის ყველა შედეგის აღწერა, — წერს დასასრულ დუგალ დიქსონი. — თუმცა, მეცნიერების ხელთ არსებული დიდძალი ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ამის თაობაზე დიდი ალბათობით მსჯელობა სავსებით შეგვიძლია".

**უცხოური პრესის მიხედვით**

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

● მსოფლიო ფეხბურთის შტაბის – ფიფას მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში ოთხი საფეხურით უკან დავიხიეთ და 384 ქულით მე-80 ადგილზე აღმოვჩნდით. რასაკვირველია, ეს ქართული ფეხბურთის თავკაცებისა და ეროვნული ნაკრების გერმანელი მწვრთნელის „დიდი დამსახურებაა“!



◎ ორბიტაზე

## სად გაიმართება „ევრო-2012“?




**ევროპის საფეხბურთო წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია გავრცელებულმა ხმებმა, თითქოს უკრაინა და პოლონეთი ერთობლივად ვერ ასწრებენ ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მომზადებას. და თუმცა უეფამ ამ ქვეყნებს 6-თვიანი ვადა მისცა მდგომარეობის გამოსწორებისთვის, უკვე გამოჩნდნენ ამ ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენდენტები.** პირველი შოტლანდია იყო. ამ დღეებში კი ევროპული ფეხბურთის დათვალიერების მიღების დიდი სურვილი გამოთქვა იტალიამ. ეს განაცხადა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ. მისი თქმით, „პოლონეთსა და უკრაინაში ამ ტურნირის ჩატარების გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო. უეფას ჩინოვნიკებს უნდოდათ „აღმოსავლური მიმართულების“ განვითარება ევროპაში“.

იტალიური ფეხბურთის თავკაცს ეეჭვება, რომ პოლონეთმა და უკრაინამ შეძლონ „ევრო-2012“-ის ჩატარება და ხელახლა გაიმართება მასპინძელი ქვეყნის შესარჩევი კონკურსი, ხოლო იტალიაში ახლავე დაიწყებენ სტადიონების რეკონსტრუქციას.

## სამბო — ოლიმპიურ პროგრამაში?

**უახლოეს მომავალში სამბო, შესაძლოა, შევიდეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, – ეს განაცხადა სამბოს ევროპული და რუსეთის ფედერაციების პრეზიდენტმა სერგეი ელისეევმა პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა 15 თებერვალს მოსკოვში დასაწყებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თასის გათამაშებას.**

„დღეს სამბოს მეორედ დაბადებაა და უახლოეს ხანში ალბათ მას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აღიარებს. ჩვენს წინაშე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შესვლის ამოცანაა და ჩვენ ახლოსა ვართ მასთან“. მან დაამატა, რომ საჭიროა სამბო განვითარდეს, ოთხი კონტინენტის 75 ქვეყანაში. ოფიციალურად სამბო დამკვიდრებულია 63 ქვეყანაში. – თქვა სერგეი ელისეევმა.



## ანამ ყველა დაჩრდილა

**პოპულარული სპორტული ჟურნალის Sports Illustrated ახალმა ნომერმა უკვე ორიგინალური სიახლით გაახარა თავისი მკითხველები. მან 2008 წლისთვის საბანაო კოსტიუმები შესთავაზა მათ, რასაც 40 ლამაზმანი წარმოადგენდა. დემონსტრატორთა შორის იყვნენ ცნობილი სპორტსმენების ცოლები და შეყვარებულები.** მათ შორის „დენვერის“ კალათბურთელ კარმელო ენტონის საცოლე ლალა ვასკესი, მრბოლ ჯეფ გორდონის ცოლი ინგრიდ ვანდერბოში, „ნიუ-იორკ იანკიზის“ ბეისბოლისტის ჯონი დეიმონის მეორე ნახევარი მიშელი და გუნდ NEL „ტამპი-ბეის“ წარმომადგენლის ჯეფ გარსიას ცოლი კარმელა.

თუმცა ჟურნალის პრიალა გარეკანს ცნობილი მოდელის მარის მილერის პორტრეტი ამშვენებდა, საბანაო კოსტიუმების ჩვენებაზე მაინც ყველა დაჩრდილა რუსეთელმა მოდელმა ანა V-მ. სანქტ-პეტერბურგელი ლამაზმანი მკითხველებს ჟურნალის პირველივე გვერდებზე ხვდება, საბანაო კოსტიუმების ახალ კოლექციას რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქის ტაძრებისა და „ავრორას“ ფონზე რომ წარმოადგენს.



◎ კალათბურთი

# აქეთური, იქეთური

**16 თებერვალს ვენეციაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა მოეწყობა.**

ამ დღეებში ფიბა-მ გამოაქვეყნა „ბ“ დივიზიონში რიცხული 15 ნაკრების განთესვის შედეგები, სადაც საქართველოს ადგილი მეორე კალათაში ერგო შვეიცარიასთან და ჰოლანდიასთან ერთად.



**დანარჩენ გუნდებს ასეთი პოზიციები ხვდათ:**

**I კალათა – შვედეთი, დანია, რუმინეთი.**

**III კალათა – ბელორუსი, სლოვაკეთი, ისლანდია.**

**IV კალათა – ავსტრია, ირლანდია, კვიპროსი.**

**V კალათა – ალბანეთი, ლუქსემბურგი, ჩერნოგორია.**

გაუწყებთ, რომ რეგლამენტის თანახმად პლეი-ოფში ჯგუფების გამარჯვებულნი და საუკეთესო მეორეადგილოსანნი გაალწევენ, შესარჩევი მატჩები კი წლეულს 6,10, 13, 17 და 20 სექტემბერს, ხოლო გაისად აგვისტო-სექტემბერში გაიმართება.

* * *

**გემახსოვრებათ, ალბათ, ათიოდე წლის წინათ „ვითამ“ რომ პატარა სასწაული მოახდინა და უნგრეთის „კიორმენდს“ ის მატჩი მოუგო, რომლის დასრულებამდე წუთნახევრით ადრეც მეტოქეს 9 ქულით ჩამორჩებოდა.**

დაახლოებით ასეთივე გმირობა ჩაიდინა ცსკა-მ, რომელმაც ევროლიგის II ჯგუფური ეტაპის სასტარტო შეხვედრაში „რომა“ დაამარცხა – 72:71, აღსანიშნავია, რომ საფინალო სასტვენამდე ორწუთნახევრით ადრე იტალიელთა უპირატესობა 11 ქულით გამოიხატებოდა, თუმცა დარჩენილ დროში შიშკაუსკასმა და ლენგდონმა ზუსტი სამქულიანებით უმოწყალოდ დაბომბეს სტუმართა კალათა.

წარუმატებლად დაიწყო ტიტულის დაცვა ევროლიგის მოქმედმა ჩემპიონმა „პანათინაიკოსმა“ – ბერძნები თურქეთში „ეფესთან“ შერცხვნენ – 64:74, „ტაუგრესმა“ კი ლიტვაში „რიტასს“ სძლია – 84:81.

◎ თაობა

# „ვალენსიამ“ და მერიამ დააფინანსეს

**თურქეთის ქალაქ საქარიაში 16-24 თებერვალს კადეტ კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, რომელშიც 12 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ, მათ შორის – საქართველოს ნარგზავნილებიც.**

A ჯგუფში ჩვენებთან ერთად იტალიელები, რუსები, სლოვენიელები, თურქები და უკრაინელები ითამაშებენ. B ჯგუფში ბულგარელები, ხორვატები, ფრანგები, გერმანელები, ბერძნები და პოლონელები მოხვდნენ. მომდევნო ეტაპზე საუკეთესო ოთხეულები გავლენ. როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა წულაძემ განაცხადა, ეს შეჯიბრება ჩვენს გუნდს ევროპის პირველობისთვის მოსამზადებლად დაეხმარება.

საქართველოს თექვსმეტწლამდელთა ნაკრები თურქეთს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: დავით გურაბანიძე, გიორგი ტეტელაშვილი, ირაკლი ჩერქეზიშვილი, დუდა სანაძე, შალვა კაკაურიძე, მერაბ ბოქოლიშვილი, ნოდარ თენეიშვილი, ნიკოლოზ მაღრაძე, გიგა მეხრიშვილი, სერგი მელაძე, ლევან ელაიძე, გოგა ჯავახიშვილი, ირაკლი ალხანაიძე, ნოდარ შარაბიძე, მთავარი მწვრთნელი გელა წულაძე, ასისტენტები – გია ტელელაშვილი და გია კაზანჯიანი.

ჩვენი გუნდი 16 თებერვალს იტალიას შეხვდება (თბილისის დროით 16.30 სთ.ძ, მომდევნო დღეებში კი უკრაინას (17 თებერვალი, 18.45ძ, რუსეთს (18 თებერვალი, 16.30ძ თურქეთსა (19 თებერვალი, 21.00ძ და სლოვენიას (20 თებერვალი, 18.45ძ დაუპირისპირდება.

ქართველი კადეტები თურქეთში გასამგზავრებლად ბიზნეს-ჯგუფმა „ვალენსიამ“ და თბილისის მერიამ დააფინანსეს.

◎ წყალხტომა

# პეკინში – საგზურებისთვის



**მომავალ შაბათ-კვირას ჩინეთის დედაქალაქ პეკინში წყალმხტომელთა მსოფლიო თასი გათამაშდება. ეს ტურნირი სალიცენზიოა:** სინქრონულ ხტომებში 4, ხოლო ინდივიდუალურში 2008 წლის ოლიმპიადის 18 საგზური გათამაშდება. შეჯიბრებაზე საასპარეზოდ 55 ქვეყნის სპორტსმენები მოიყრიან თავს. საქართველოდან ლიცენზიისთვის ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი იბრძოლებენ. მართალია, ისინი სხვებზე უმცროსები არიან (ჭანტურია 1989 წელს არის დაბადებული, კორახაშვილი – 1991 წელსძ, მაგრამ ვფიქრობთ, კონკურენტებს ტოლს არაფერში დაუდებენ.

მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ ჩვენი სპორტსმენები ქალაქ შენჟენში გადაინაცვლებენ და მასპინძელთა ფინანსური დახმარებით გრან-პრის მეორე სერიაზე მოსინჯავენ ძალებს.

◎ ფეხბურთი



# მხოლოდ შედეგები

**განახლდა პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირები – გაიმართა უეფას თასის გათამაშების პირველი მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

„ზენიტი“ – „ვილიარეალი“ 1:0,
„გალათასარაი“ – „ლევერკუზენი“ 0:0,
აეკ – „ხეტაფე“ 1:1,
„ბრანი“ – „ევერტონი“ 0:2,
„ვერდერი“ – „ბრაგა“ 3:0,
„ანდერლეხტი“ – „ბორდო“ 2:1,
„მარსელი“ – „სპარტაკი“ 3:0,
„ეინდჰოვენი“ – „ჰელსინგბორგი“ 2:0,
„რეინჯერსი“ – „პანათინაიკოსი“ 0:0,
„სპორტინგი“ – „ბაზელი“ 2:0.

◎ ფიფა

# უკან დავიხიეთ?!



**ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მსოფლიო ფეხბურთის შტაბის – ფიფას მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში ოთხი საფეხურით უკან დავიხიეთ და 384 ქულით მე-80 ადგილზე აღმოვჩნდით. რასაკვირველია, ეს ქართული ფეხბურთის თავკაცებისა და ეროვნული ნაკრების გერმანელი მწვრთნელის „დიდი დამსახურებაა“!**

ისე კი რეიტინგის პირველ ათეულში არსებითი ცვლილება არ მომხდარა და ის ასე გამოიყურება: **არგენტინა** – 1518, **ბრაზილია** – 1502, **იტალია** – 1484, **ესპანეთი** – 1352, **გერმანია** – 1281, **ჩეხეთი** – 1244, **საფრანგეთი** – 1123, **პორტუგალია** – 1191, **ჰოლანდია** –1179, **საბერძნეთი** – 1142.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში კი ჩვენი მეტოქეები ასე არიან განლაგებულნი:

19. **ბულგარეთი** – 919; 36. **ირლანდია** – 703; 66. **კვიპროსი** – 492; 175. **ჩერნოგორია** – 65.

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

● რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გზაზე ჩვენი პრეზიდენტის ახალი ინიციატივით გამოსვლა ბევრ სასიკეთოს გვპირდება. თუ ამ გზაზე ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა. თავისი ხერგილები აილო, უეჭველად დათბება. ნახეთ მაშინ ასობით ახალგაზრდა რომ მოაწყდება გორის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას!..



◉ პრობლემა

# დაეუფლე რუსულ ენას!

**თუ პეიტრობაში არ ჩამეთვლება, ჩემს ერთ ძველ წერილს გავიხსენებ, რომელიც 1992 წლის ოქტომბერში „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა. „ჩემი გორელი რუსები", ასე ჰქვია პუბლიკაციას. მასში მკითხველს მეოცე საუკუნის 20-იან წლებში რუსეთიდან საქართველოში ჩამოსული (მე-11 არმიას რომ ჩამოჰყვაძ და გორში, (ციხისძირი) დასახლებული პეტრე იუფეროვის ოჯახის შესახებ ვუამბობდი.** კარგი შვილები დაზარდეს იუფეროვებმა, უფროსმა, ნიკოლოზმა, გორში ქართული საშუალო სკოლა დაამთავრა, რუსეთში – საფრენოსნო სასწავლებელი, წავიდა ფრონტზე და 1945 წლის მაისში, გამარჯვების წინა დღეებში, მკერდი საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავით დაიმშვენა. მისმა ძმამ, იორამმა, ინჟინერმშენებლის პროფესია აირჩია და ნახევარი საუკუნე, პენსიაში გასვლამდე, ხარაჩოებიდან აღარ ჩამოსულა. წერილში ვწერდი სხვა რუსულ ოჯახებზე – ემელიანოვებზე, რომანოვებზე, ბელუხინებზე, გლავაცკებზე, ვორობიოვებზე. სწორედ იმ დღეებში გორის მე-6 რუსული საშუალო სკოლის მეთერთმეტკლასელმა ინა ვორობიოვამ „ვეფხისტყაოსნის" მოზეპირეთა საქალაქო კონკურსზე მესამე ჯილდო მოიპოვა.

წერილი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ იმ ვაი-პატრიოტებს, ვისაც რუსეთი გულზე არ ეხატებოდათ. ასეთები კი ბევრი იყვნენ. „შენ რა, ვერ ხედავ, რომ ეს აგრესორი დღედღეზე შემოჭრით გვემუქრება, შენ კი დითირამბებს უმღერი?" – ვიღაცამ ტელეფონში შემოიღრინა. წავუყრუე. მაგრამ სხვა საგაზეთო წერილებში, თუკი საჭირო იყო, არ ვზოგავდი არც სახელმწიფო დუმის დეპუტატებს და არც სხვა ქორებს რუსეთის მთავრობაში. მაგრამ ხდებოდა, როცა რუსეთი მომენატრებოდა, ვიწყებდი თავისტეხას „რუსულ" თემაზე, ისე რომ, „არც მწვადი დამეწვა, არც შამფური". ერთხელ ეს იყო 2004 წლის აგვისტოში, ჩემს გაზეთში ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე დავწერე: „წერილის სახათაბალო ფრაზით ვიწყებ: ქართველებს გვიყვარს რუსეთი, გორელებს – მეტადრე"-მეთქი. და მკითხველებს იმ გორელებზე ვუამბე, ვინც თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთს დაუკავშირა.

ჩვენი „მთავარი გორელი" არ მიხსენებია. რუსეთში უმისოდაც ბევრი სახელოვანი თანამოქალაქე გვყავს „მივლინებული: გამოჩენილი მერაკეტე მეცნიერი-აკადემიკოსი ორგზის სოციალური შრომის გმირი ალექსანდრე ნადირაძე, ზემოთნახსენები საბჭოთა კავშირის გმირი ნიკოლოზ იუფეროვი, კომპოზიტორი ვანო მურადელი, პეტერბურგის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი თამაზ ფერაძე, ფილოსოფოსი, რუსეთში „ქართველ სოკრატედ" წოდებული მერაბ მამარდაშვილი, ვოლგოგრადის „ახალი ექსპერიმენტული თეატრის" დამაარსებელი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი, რუსეთის სახალხო არტისტი ოთარ ჯანგიშერაშვილი და სხვები.

რომ ვნახე, ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, იმ წერილს ახალი პუბლიკაცია მივაყოლე. ცნობილი რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულის გამოსვლიდან, რომელზეც გამოჩენილი ქართველი მეცნიერები მუშაობდნენ, ნახევარი საუკუნე შესრულდა და გამოვეხმაურე ამ თარიღს! დავწერე, თუ როგორ ვაჩუქე საგულდაგულოდ გაახლებული და რესტავრირებული სამტომეული ჩემს შვილიშვილს წარწერით: „ლუკა, თუ ამ წიგნთან იმეგობრებ, მერწმუნე შორს წახვალ".

მაგრამ მე არ მინდა, რომ მარტო ლუკამ იცოდეს და გრძნობდეს რუსული ენის ხიბლს. ასობით და ათასობით მისმა კბილამ უნდა გაუსინჯოს გემო რუსულს. ლამის ოცი წელია ჩვენი დიდი მეზობლის კულტურასთან ზურგშექცევით ვდგავართ. ვის რა დავაკელით, ჩვენი თავის გარდა?!

... ვსაუბრობ ჩემს მეგობართან, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ შოთა ლოლობერიძესთან, მან, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტმა, განათლება რუსეთსა და უკრაინაში მიიღო, ასპირანტურა კიევში დაამთავრა და ხარისხიც იქდაიცვა. 60-იანი წლების ბოლოდან გორში მოღვაწეობს.

– ადრე ჩვენთან, უნივერსიტეტში, რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი არსებობდა. სწავლება მიმდინარეობდა დასწრებულ საღამოს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე. პუშკინის ენას 200-ზე მეტი სტუდენტი ეუფლებოდა. იმხანად რუსული სკოლები იყო გორში, ბორჯომში, ხაშურში, სამცხე-ჯავახეთში და ამ რეგიონებიდან შესანიშნავი შევსება მოდიოდა. ახლა ვითარება შეიცვალა. კატასტროფულად დაეცა რუსული ენის განყოფილებაზე შემომსვლელთა რაოდენობა. დღეს მე-2 და მე-3 კურსებზე არავინ არ სწავლობს. მე-4, დამამთავრებელ კურსზე 14 გოგონაა. (რუსული ენის განყოფილებას ბიჭები საერთოდ არ ეკარებიანძ. წლეულს პირველ კურსზე, ორი წლის შესვენების შემდეგ, პირველად მივიღეთ 12 სტუდენტი და ამან ცოტა იმედი ჩაგვისახა, რომ ახალგაზრდობა რუსული ენისკენ შემობრუნდება. რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გზაზე ჩვენი პრეზიდენტის ახალი ინიციატივით გამოსვლა ბევრ სასიკეთოს გვპირდება. თუ ამ გზაზე ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა. თავისი ხერგილები აილო, უეჭველად დათბება. ნახეთ მაშინ ასობით ახალგაზრდა რომ მოაწყდება გორის უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას!..

– თითქოს წინასწარ რაღაც იგრძნესო, სექტემბერში, ჩვენი სკოლის რუსული სექტორის პირველ კლასში 12 ბავშვი შემოვიდა და მათგან ნახევარზე მეტი ქართული ოჯახებიდან არიან. ადრე ასეთი რამ არ მახსოვს.

ამჯერად გორის ყოფილი რუსული, ახლა კი ქართულ-რუსული №6 საჯარო სკოლის დირექტორთან ლუბა ქაფიანიძესთან ვსაუბრობ. ქალბატონი ლუბა აგერ უკვე 16 წელია ქალაქის ამ ერთ-ერთ წარმატებულ სკოლას ხელმძღვანელობს.

– იყო წლები, როცა ჩვენს სკოლაში 800-მდე ბავშვი სწავლობდა. დღეს რუსულ სექტორზე 450, ქართულ სექტორზე კი 340 მოსწავლეა.

– მახსოვს, – საუბარში ერთვება დამსახურებული პედაგოგი ნელი ედილაშვილი, – ზემდგომ ორგანოებში სტატისტიკურ მაჩვენებლებს ვაგზავნიდით, და, რა გგონიათ? 24 ეროვნების ბავშვი დავთვალეთ!

სად არიან ახლა ისინი, მეექვსე სკოლის აღზრდილები?

ახლა ქალაქის „საქპრესას" ვესტუმრე. მაინტერესებდა, ამ ჩვენს კულტურულ, სამოცათასიან ქალაქში რამდენ კაცს ჰქონდა გამოწერილი რუსულენოვანი „სვაბოდნაია გრუზია".

თურმე, არც ერთს! ეს დამიდასტურა „საქპრესის" გორის განყოფილების უფროსმა დარეჯან კიკნაძემ.

„სვობოდნაია გრუზიას" ვერც ბიბლიოთეკებში შეხვდებით – არ გამოუწერიათ. ბიბლიოთეკებში თაროებზე, რუსულ მხატვრულ ლიტერატურას, თუკი სადმეა შემორჩენილი, მტვრის სქელი ფენა ადევს. წამკითხველი არავინაა.

რუსულ ენას როგორ ვისწავლით, თუ არ წავიკითხავთ წიგნს, ჟურნალს, გაზეთს?

გახსოვთ ი. გრიშაშვილის ლექსი?

**შენ ქართული კარგად იცი,**
**გაქვს ნიჭი და ალღო,**
**მაგრამ რუსულ ენაში კი**
**ჩამორჩები, ბალღო!**
**თუ ახლავე არ ისწავლი, –**
**გეტყვი, დამიჯერე, –**
**გაიზრდები, შეწუხდები და**
**ინანებ მერე.**
**ამიტომაც ახალგაზრდავ, სხვა**
**ენებზე უფრო**
**რუსულ ენას, რუსულ ენას**
**უნდა დაეუფლო!**

ეს ლექსი პოეტს ზუსტად 60 წლის წინათ აქვს დაწერილი. თითქოს დღეს დაეწეროს. ლექსის სათაური ჩემი წერილის სათაურად გამოვიყენე.

**გურამ ვაშაკიძე**
**„სრ" საკ. კორ.**



გორის ციხე

◉ მტერი თუ მოყვარე?

# ერიდეთ მობილურ ტელეფონს

**ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა მობილური ტელეფონი. ის ნამდვილად მეტად მოსახერხებელია და თითქმის მთლიანად შეცვალა ჩვეულებრივი ტელეფონები. თუმცა, მოსახლეობისთვის ნაკლებად არის ცნობილი ის ხიფათი, რომელიც მობილური ტელეფონის ხანგრძლივმა ხმარებამ შეიძლება ჩვენს ჯანმრთელობას მოუტანოს.**

შვედი მეცნიერების მიერ ჩატარებული უახლესი გამოკვლევების თანახმად, მობილური ტელეფონების დიდი ხნის განმავლობაში გამოყენება სმენის ნერვის სიმსივნის წარმოქმნის ალბათობას აორმაგებს. ამასთანავე, განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებისთვის, რომელთა ძვლების სისქე გაცილებით მცირეა.

11 სხვადასხვა კვლევის შედეგების ანალიზით გაკეთდა დასკვნა, რომ მობილური ტელეფონები 10 წლის მანძილზე სმენის ნერვის სიმსივნის ალბათობას ორჯერ ზრდის. როგორც აღნიშნა გამოკვლევების ხელმძღვანელმა, შვეციის ერებროს უნივერსიტეტის პროფესორმა კელ მილდმა, მობილური ტელეფონებისაგან ხიფათი შეიძლება გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდეს, რადგან 10 წელი – ეს მინიმალური დროა კიბოს განვითარებისთვის. გარდა ამისა, ექსპერტები თვლიან, რომ მობილურ ტელეფონებთან დაკავშირებულია ალცგეიმერისა და პარკინსონისმ დაავადებები.

ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი ზემოქმედების წყარო არის ულტრაბგერა, რომელსაც სხეულში მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღა აღძრავს. ულტრაბგერის სიხშირე ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირის ტოლია, ხოლო ტალღის სიგრძე – ორგანიზმის უჯრედის ზომების რიგისაა. უჯრედი ამ აკუსტიკური ტალღის ზემოქმედებით რხევას იწყებს, რაც მის დეფორმაციას იწვევს. სწორედ ძლიერი დეფორმაციის შედეგად უჯრედი ზიანდება, რამაც შეიძლება ან უჯრედის სიკვდილი გამოიწვიოს, ან მისი გადაგვარება სიმსივნის უჯრედად.

ამ ორიოდე წლის წინათ იაპონელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტულად შეისწავლეს სითბოს განაწილება ადამიანის სახეზე ტელეფონით ოცწუთიანი საუბრის შემდეგ. მათი მონაცემებით, ტემპერატურის მაქსიმალური აწევა ყურის მახლობელ არეში დადგინდა და მან 0.5 გრადუსი შეადგინა. ავტორთა აზრით, 0,5 გრადისით ტემპერატურის გაზრდა სრულიად უხიფათო უნდა ყოფილიყო ადამიანისთვის და ამდენად, მობილური ტელეფონების ხმარება უხიფათოდ ჩათვალეს.

ცხადია, 0.5 გრადუსით სხეულის ან მისი ნაწილის ტემპერატურის გაზრდა სავსებით უხიფათოა, მაგრამ მთავარია მიზეზი, თუ რატომ გაიზარდა სხეულის ტემპერატურა?

მიზეზი კი მართლაც საშიშია, რადგან ის იმ აკუსტიკურ რხევებთანაა დაკავშირებული, რომელიც ულტრაბგერამ გამოიწვია. ეს სწორედ ის რხევებია, რომელსაც უჯრედების გარკვეული ნაწილის სიკვდილს იწვევს.

მართალია, ცოცხალ ორგანიზმს შეუძლია ახალი უჯრედების წარმოქმნა, მაგრამ წარმოქმნის რესურსი შეზღუდულია. ამიტომ ბერდება ადამიანის ორგანიზმი და სიმსივნის უჯრედებიც რომ არ წარმოიქმნას, ტვინის ნაადრევი დაბერება აუცილებლად მოხდება.

მობილური ტელეფონებით ხანგრძლივმა საუბარმა შეიძლება როგორც სმენის ნერვის, ისე თვალის ბადურის დაზიანებაც გამოიწვიოს.

განსაკუთრებით სახიფათოა მობილური ტელეფონებით ხშირი და ხანგრძლივი საუბარი ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის. ცხადია, მობილური ტელეფონებით სარგებლობა უაღრესად მოსახერხებელია, მაგრამ თუ თქვენი ჯანმრთელობის შენარჩუნება გსურთ, უნდა ისაუბროთ მინიმალური დროის მანძილზე და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალზე აუცილებელია.

მობილური ტელეფონით საუბრით გამოწვეული ხიფათი მკვეთრად იზრდება ავტომანქანით მგზავრობის დროს. ეს გამოწვეულია ავტომანქანის სალონის კედლებიდან ელექტრომაგნიტური ტალღების არეკვლისა და სალონის სივრცეში მათი ზედდების შედეგად მიღებული ტალღების ინტერფერენციის გამო. ავტომობილის სალონის გარკვეულ უბანში შეიძლება ისეთი სიმძლავრის ელექტრომაგნიტური რხევები შეიქმნას, რომელიც მრავალგზის აჭარბებს ტალღის ინტენსიობას ღია გარემოში. შესაბამისად, ულტრაბგერის ამპლიტუდა მკვეთრად შეიძლება გაიზარდოს, რამაც არა თუ ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს, არამედ თანამედროვე მანქანებში არსებული მინოკომპიუტერული სისტემაც კი გამოიყვანოს წყობიდან და მოულოდნელი ავარიის მიზეზიც გახდეს.

ტელეფონის მიერ გამოსხივებული ტალღის ინტენსიობის მკვეთრად შემცირებას ადვილად შეძლებთ, თუ



გამომსხივებელ ანტენას თქვენს სხეულს მაქსიმალურად მოაცილებთ. ამისთვის ან სპეციალური ყურთსასმენები უნდა გამოიყენოთ, ან ისეთი აპარატები, რომლის ხმაც დიდი მანძილიდან შეიძლება გაიგონოთ.

მობილური ტელეფონები მართლაც ძალზე მოსახერხებელია არა მარტო თქვენთვის, არამედ სპეცსამსახურებისთვისაც თქვენი საუბრების მოსასმენად და გასაკონტროლებლად. მართალია, ის თანამედროვე ტექნოლოგიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ამ მიღწევას სწორი გამოყენება უნდა, რათა თქვენ დიდი და გამოუსწორებელი ზიანი არ მიიღოთ.

მე მობილურ ტელეფონს საერთოდ არ ვხმარობ და ერთ-ერთ ინტერვიუში მას ინტელექტუალური ნარკოტიკი ვუწოდე, რადგან გადაჩვევა ძალიან ძნელია, თუმცა, ჯანმრთელობისთვის ნამდვილად სახიფათოა.

და ბოლოს, ერთი ანეკდოტი გამახსენდა:

ტიპს ეკითხებიან: „მობილური ტელეფონი რომ გქონდა, მოგპარეს?"

„არა, კაცო, მითხრეს ჯანმრთელობისთვის საშიშიაო და ჩემს შვილს ვაჩუქე".

**მერაბ ჯიბლაძე,**
**ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, „ქართული აკადემია"**

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

ვალენტინობის დღესასწაულს არ ცნობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. იგი ოფიციალურად არც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღინიშნება.
სიყვარულის დღეს საქართველოს მართლამდიდებელი ეკლესია 16 ივლისს, გერგეტობის დღესასწაულზე აღნიშნავს, ხოლო საერო დღე 1994 წლიდან 15 აპრილს აღინიშნება



## ვალენტინობა

# სიყვარულის ფსევდო დღესასწაული

**რამდენიმე წელია ქართული საზოგადოების საკმაოდ ფართო წრეები დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ კალოლიკურ დღესასწაულს ვალენტინობას (სიყვარულის დღესძ. მასმედია დიდ ყურადღებას უთმობს ამ დღეს, წლიდან-წლამდე სულ უფრო მეტი ღონისძიება თუ აქცია იმართება.**

გავრცელებული მოსაზრებით 14 თებერვალი წმინდა ვალენტინის ხსენების დღეა, რომელიც შეყვარებულებს ჩუმად წერდა ჯვარს. მაინც ვინ არის წმინდა ვალენტინი?

14 თებერვალს რომის კათოლიკური ეკლესია ორ წმინდანს უკავშირებს: რომაელ მღვდელ ვალენტინსა და ტერნის ეპისკოპოსს, აგრეთვე ვალენტინს. ორივე კლავდიუს II მმართველობის დროს ეწამა.



გადმოცემის მიხედვით კლავდიუს II (გოთიკუსმაძ ჩათვალა, რომ დაოჯახებული მეომრები ცუდად იბრძოდნენ და ახალგაზრდების ქორწინება აკრძალა. მღვდელი ვალენტინე (და არა ტერნის ეპისკოპოსიძ კი შეყვარებულებს უჩუმრად წერდა ჯვარს, რის გამოც იგი დასაჯეს კიდეც. ციხეში ყოფნისას იგი დამტყვევებლის ბრმა ქალიშვილს დაახლოებია და შეყვარებია კიდეც. სიკვდილის წინ მისთვის სასიყვარულო ბარათი მიუწერია, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა „შენი ვალენტინისგან“. სავარაუდოდ აქედან მომდინარეობს ხალხური ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა ვაჟი „ვალენტინი“ თავის „ვალენტინას“ ირჩევს.

ვალენტინობის დღესასწაულს წარმართული ტრადიციები უნდა ედოს საფუძვლად. რომაული კალენდრის მიხედვით თებერვალი წლის ბოლო თვე იყო და სემანტიკურად განწმენდას ნიშნავდა. ამ თვეში მრავალი განწმენდის რიტუალი ტარდებოდა.

ძველ რომში 14 თებერვალს ქალებისა და ქორწინების ქალღმერთის დღესასწაული იყო, მომდევნო დღეს კი ლუპერკალობას (ღვთაება ლუპერკალის, ანუ მგლის დღესასწაული, რომელსაც რომაელებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომისა და რომულუსის შესახებ ცნობილი ლეგენდიდან გამომდინარეძ ზეიმობდნენ. დღესასწაულის ღამეს რომაელი ქალიშვილების სახელები იწერებოდა ფურცლებზე და ჯამში იდებოდა. ვაჟი იღებდა ქაღალდს და ვისი სახელიც შეხვდებოდა, ის იქნებოდა მისი მეწყვილე სადღესასწაულო მსვლელობაში.

დღესასწაულის განმავლობაში ყმაწვილების დაწყვილება ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ხანდახან კი, როდესაც ისინი იზრდებოდნენ, ქორწინდებოდნენ კიდევაც.

შუასაუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში 14 თებერვალი ერთ-ერთ ყველაზე ნეგატიურ დღედ ითვლებოდა, რადგან ამ დღეს დაიბადა იუდა. ეს დღე მორწმუნეებს ძალიან აფრთხობდა.

ვალენტინობის დღევანდელი მნიშვნელობით აღნიშვნა ამერიკელებს უკავშირდება, რომელთაც „ვალენტინის“ კომერციული ხაზი შექმნეს. ევროპაში ამ დღესასწაულს არაერთი სკეპტიკოსი გამოუჩნდა, რომლენიც მას ყვავილებისა და ტკბილეულის მწარმოებელთა მიერ შეკოწიწებულ დღესასწაულს უწოდებენ, მზარდი პოპულარობიდან გამომდინარე ყოველწლიურად სოლიდური მოგების მომტანს.

ვალენტინობის დღესასწაულს არ ცნობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. იგი ოფიციალურად არც კათოლიკური ეკლესიის მიერ აღინიშნება.

სიყვარულის დღეს საქართველოს მართლამდიდებელი ეკლესია 16 ივლისს, გერგეტობის დღესასწაულზე აღნიშნავს, ხოლო საერო დღე 1994 წლიდან 15 აპრილს აღინიშნება.

მოამზადა
**ანა ვეშაგურიძემ**

## ხსოვნა

# მამია ღაღანიძე

გარდაიცვალა ეკონომისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი ღვაწლმოსილი მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მამია იოსების ძე ღაღანიძე.

დაიბადა 1922 წლის 22 ოქტომბერს სამტრედიის რაიონის სოფ. ხუნჯულაურში.

მამია ღაღანიძემ უაღრესად მრავალფეროვანი ცხოვრების გზა განვლო. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. მალე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. იგი მსოფლიო ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა მოქმედ არმიაში როგორც ჯარისკაცი და ოფიცერი. იყო ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე.



ომის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1952 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში. 1957-1961 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. იგი პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობასაც. აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს მიმოქცევის სფეროს აქტუალურ საკითხებზე. 1959 წელს გამოიცა მისი პირველი მონოგრაფიაც. მამია ღაღანიძე 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს ავტორია. მისი სამეცნიერო საქმიანობა და ღვაწლი სათანადოდ დაფასდა, მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1961 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ვაჭრობის ეკონომიკის კათედრაზე. 1973 წლიდან დაწყებული, მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქონელმიმოქცევის ეკონომიკის და მართვის კათედრას. მის სახელს უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სპეციალობის „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკის და დაგეგმვის“ ჩამოყალიბება. მისივე რედაქტორობით და თანაავტორობით გამოიცა ამ სპეციალობისთვის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელიც 1995 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს პირველი პრემიით დაჯილდოვდა.

იგი ეკონომისტთა კადრების მრავალი თაობის აღმზრდელი, სტუდენტების საყვარელი ლექტორი იყო. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა თეორიული სიღრმით, პრაქტიკასთან კავშირით, სწავლების უახლესი მეთოდებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მამია ღაღანიძის დამსახურება ეკონომისტთა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით ჩამოყალიბდა სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭო, რომელიც ერთადერთი იყო კავკასიის რეგიონში. 1979-1995 წლებში იგი თვითონ იყო ამ საბჭოს თავმჯდომარე. ამ პერიოდში მიმოქცევის სფეროში, მისი ხელმძღვანელობით თუ კონსულტანტობით, 30-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია იქნა დაცული.

მამია ღაღანიძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოში სწავლულ ექსპერტთა საბჭოსთან შექმნილი ეკონომიკის დარგობრივი სექციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

მამია ღაღანიძეს საბრძოლო და პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობაში დიდი დამსახურებისთვის მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო. მათ შორის სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი. 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისთვის და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

იგი დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით, საქართველოს განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და ვეტერანთა საბჭოს საპატიო სიგელებით.

მამია ღაღანიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების და აღზრდილების გულებში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი


**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

**98-65-87;**
**899 32-85-76.**

*კოსტავას 12*


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მეცნიერის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, შრომისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ
მამია იოსების ძე ღაღანიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რეზო სიჭინავა ოჯახით იუწყება მეუღლის
მადონა გიორგის ასულ ქირია-სიჭინავას
გარდაცვალებას. მისამართი: თბილისი, მუხიანის 1 მ/რ, 175 ბაგა-ბაღი (მე-3 საცხოვრებელი კორპუსის გვერდით. მეტრო „ახმეტელი“ძ.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრა დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მთარგმნელი და მკვლევარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფესორი
ნელი საყვარელიძე
და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს. პანაშვიდი 15, 16 II, 16 სთ. დაკრძალვა 17 II, 14 სთ. მისამართი: ვერიკო ანჯაფარიძის 7.

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვიყავი საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი და ვიღებდი თვეში 240 მანეთ პენსიას, რომელიც დღეს მხოლოდ 85 ლარის ოდენობით მეძლევა. ასე გაითელა ჩემი, როგორც სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნების ინტერესები. იქნებ ამიხსნათ, რაიმე სიახლეს ხომ არ ითვალისწინებს ჩემი კატეგორიის პირებისთვის მომავალში კანონი?**



**ვიაჩესლავ სამიცკო**

**პასუხი:** 15 წელზე მეტია, პერსონალური პენსიები აღარ ინიშნება. აღნიშნული კატეგორიის პენსია ეძლევათ სახელმწიფო პენსიების კანონით დანიშნული ასაკის პენსიის თანაბრად, რომლის ოდენობაც სამწუხაროდ მხოლოდ 65 ლარია. მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ ჯერჯერობით თქვენი პენსიის გაზრდის პერსპექტივა არ ჩანს.

* * *

**კითხვა: გთხოვთ განგვიმარტოთ, ვინ უნდა აუნაზღაუროს დაქირავებულ პირს დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი ზედიზედ 30 დღემდე, ხოლო თვეში საერთო ჯამით 50 დღემდე?**

**მარინა კირვალიძე**

**პასუხი:** 2006 წლის 29 აგვისტოდან, დროებითი შრომისუუნარობის ფურცლის ყველა შემთხვევაში ანაზღაურებს დამსაქმებელი.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

## ინფორმაცია

# დააკავეს სამი ნარკოვაჭარი ქალი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოდანაშაულის ფაქტზე 3 ქალი დააკავეს. 27 წლის ნათია კახიძეს, 23 წლის მირანდა ოქროპირიძესა და 39 წლის თინათინ ჯოგლიძეს, პირადი და ბინების ჩხრეკისას 487,64 გრამი „ჰეროინი“ აღმოაჩნდათ.**

მიმდინარეობს გამოძიება. დაკავებულებს ბარლი სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით ედებათ, რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც 8-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 29. პარასკევი, 15 თებერვალი, 2008 წელი.

# ბოლო გვერდი

● ნიკოლოზ ცისკარიძე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოცეკვავე, როგორც ვარაუდობენ, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე ალექსეი რატმანსკის შეცვლის



◉ სულიერება

## მირქმა-მიგებება მაცხოვრისა



**15 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მირქმას (მიგებებასძ დღესასწაულობს. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ორმოცი დღის რომ შესრულდა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ. წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას 40 დღე არა აქვს უფლება ტაძარში შესვლისა, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვა... ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ქალწულად დარჩა, მაგრამ მაინც შეასრულა ღვთის კანონი.**

... ტაძარში ჩვილით მისულ მარიამს და მართალ იოსებს მიეგება სულიწმიდის მადლით ცხებული სვიმეონი. იგი იყო ერთ-ერთი 70 ებრაელთაგანი, რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე უნდა ეთარგმნათ ბიბლია...

მართალ სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: „აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვლა, ქალწულს ეშვა ძე, სვიმეონმა ადგილის შეცვლა განიზრახა.

... მოულოდნელად , მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს“. სვიმეონი იყო 360 წლის, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი“. წმინდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი ანა წინასწარმეტყველი, რომელიც მარხვითა და ლოცვით დღედაღამ განუშორებლად მსახურობდა ღვთის სახლში. მრავალ ჩვილს შორის მანაც შეიცნო ძე ღვთისა და ებრაელებს ახარა უფლის განკაცება.

**წმინდა მამები გვასწავლიან, რომ არა მხოლოდ მართალი სვიმეონი და წმინდა ანა გახდნენ უფლის მიგებების ღირსნი, არამედ ყოველ მორწმუნეს აქვს უფალთან შეხვედრის საშუალება, — და ეს ხდება ტაძარში აღსარებისა და ზიარების დროს.**

უფალი შედის ცოდვილ ადამიანში, რათა განწმინდოს იგი, მაგრამ პიროვნება მზად უნდა იყოს უფლის მისაღებად. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის წიაღში. ტაძარში იგრძნობს ადამიანი სულიწმიდის მადლის შეხებას და მაცხოვრის სიყვარულისა და მისი ღვთაებრივი მოწყალების ქვეშ ყოფნას.

თბილისის მირქმის სახელობის ტაძარში განსაკუთრებული ზეიმით აღავლენენ წირვა-ლოცვას მღვდელმსახურნი.

**გიული ლიპარტია**

◉ სხვა გაზეთიდან

## გახდება თუ არა ცისკარიძე სამხატვრო ხელმძღვანელი?

**ნიკოლოზ ცისკარიძე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოცეკვავე, როგორც ვარაუდობენ, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე ალექსეი რატმანსკის შეცვლის.** თებერვლის დამდეგს რატმანსკიმ დაადასტურა, რომ აღარ გააგრძელებს კონტრაქტს დიდ თეატრთან და სათავეში ჩაუდგება „ნიუ-იორკ სითი ბალეტს“ როგორც მუდმივი ქორეოგრაფი. „ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ალექსეიმ აღნიშნა, რომ 2008 წლის დამლევამდე იმუშავებს და აღარ გააგრძელებს კონტრაქტს, ამიტომაც ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, — უთხრა **„აიფს“** დიდი თეატრის პრესსამსახურის უფროსმა ეკატერინე ნოვიკოვამ. — მაგრამ რატმანსკი დიდ თეატრთან მუშაობას გააგრძელებს როგორც მთავარი მოწვეული ქორეოგრაფი წელიწადში ერთ დადგმაზე. ახლა ბევრი გვარი სახელდება მის შესაძლო შემცვლელად: ნიკოლოზ ცისკარიძე, ილზე ლიეპა, ნინო ანანიაშვილი, ალექსეი ფადეეჩევი. ჯერჯერობით კი დიდი თეატრის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება არ მიუღია.

დანამდვილებით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ეს ჩვენი თანამემამულე იქნება, მთავარ თეატრში „ვარიაგების“ მოწვევას არ ვაპირებთ“. ჯერჯერობით რატმანსკი მუშაობს ახალ დადგმაზე. ეს არის ბალეტი „პარიზის ცეცხლი“, რომელშიც ნაწილობრივ შენარჩუნებული იქნება ვაინონენის ძველი ქორეოგრაფია, მაგრამ სპექტაკლი გამდიდრებული იქნება ქორეოგრაფ რატმანსკის ახალი იდეებითაც. პრემიერა 2008 წლის ზაფხულისთვისაა დასახული.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◉ ინფორმაცია

## ახალი ფორმა მძღოლებისათვის



**თბილისის მერიის შპს „თბილისის ავტობუსმა“ უნიფორმის სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა.**

როგორც მერიიდან იტყობინებიან, შესყიდვის ობიექტი 3 ლოტადაა დაყოფილი. I ლოტი ითვალისწინებს 2000 ცალი მამაკაცის ჟილეტების შეძენას, II ლოტი — 2000 მამაკაცის პერანგების, ხოლო III ლოტი — 2000 მამაკაცის ჰალსტუხის შეძენას.

ტენდერში, შესაძლებელია, გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**ინტერპრესნიუსი**


რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.


◉ კადრი



◉ ანეკდოტები

— ბებო, რას ნიშნავს გამოთქმა „ჰუმანიტარული წყობის ჭკუის მქონე ადამიანები“?

— არც ვიცი, როგორ გითხრა და აგიხსნა, შვილო... ადრე მასეთებს სულელებს ეძახდნენ...



* * *

— რა შესანიშნავი თმა გაქვთ... კაცს პარიკი ეგონება.

— პარიკია კიდეც.

— მართლა? ვერასოდეს ვიფიქრებდი...

* * *

— თუ შეიძლება, წითელ „მერსედესთან“ გამიჩერეთ, — ეძახის უკანა სავარძლიდან ტიპი „მარშუტკის“ მძღოლს.

— წითელი „მერსედესი“ დაიძრა, დავეწიო?

* * *

— მშიერ ვეფხვთან უფრო ადვილია მოლაპარაკება, ვიდრე მაძღარ ვირთან.

* * *

— სარა, შენი აბრამი, რა, მოკვდა?

— ჰო.

— მეც არ გამიკვირდა, როცა ვნახე, რომ მიასვენებდნენ...


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.